პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1977 სამშაბათი 15 მარტი № 61 (16798) ფასი 2 კაპ. 1977

თესავენ გარდაბნელები

სოფელ გამარჯვების მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორებმა რაიონში ერთ-ერთმა პირველებმა გაიყვანეს მინდვრად აგრეგატები და შეუდგნენ საგაზაფხულო თესვას. ეს მექანიზატორი მეტს დაიკავებს წელს საკვები კულტურების ნათესები.

მიწათმოქმედთა შორის ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება თესვის კამპანიის მაღალ აგროტექნიკურ დონეზე ჩატარებისათვის. ენერგიულად შრომობენ მექანიზატორები შალვა კალანჯიშვილი, გივი რეხვიაშვილი, შალვა ინასარიძე და სხვები.

სურათზე: გარდაბნის რაიონის გამარჯვების მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე ტრაქტორისტები შალვა ინასარიძე (მარცხნივ) და გივი რეხვიაშვილი.

ი. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

გენერალური სქემებით

„საბჭოთა ეკონომიკის განვითარების დინამიზმი, მისი უდიდესი მასშტაბი სულ უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებენ სახალხო მეურნეობის განვითარების დონეს. „ეკონომიკის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების ღონისძიებანი, — თქვა მოხსენებაში სკკპ XXV ყრილობაზე ცკ-ის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — უფლება გვაქვს, უფრო მეტიც — უნდა განვიხილოთ როგორც უმნიშვნელოვანესი რეზერვი, რომლის გამოყენება ხელს შეგვიწყობს წარმატებით განვახორციელოთ მეათე ხუთწლიანი გეგმა, მოგვცემს ეფექტს უკვე უახლოეს მომავალში“.

პარტია დღენიადაგ უთმობს ყურადღებას სამეურნეო მექანიზმის შეშაობის გაუმჯობესებას. ამაში დიდი როლი შეასრულა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებამ „მრეწველობის მართვის შემდგომი სრულყოფის ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“, რომელიც 1973 წელს არის მიღებული. მან საქმეს უფრო გეგმაზომიერი, მიზნედასახული ხასიათი მიანიჭა. შეიქმნა და მოქმედებენ ნორმატიული დოკუმენტები დარგობრივი მართვის სხვადასხვა რგოლის უფლება-მოვალეობის შესახებ, საკავშირო სამრეწველო, საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებათა დებულებები. თითქმის ყველა სამინისტრომ დაამთავრა მართვის გენერალური სქემების შემუშავება. ბევრი მათგანი დაამტკიცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, დანარჩენებისა კი დამუშავებისა და დაზუსტების პროცესშია.

ეკონომიკის ხელმძღვანელობის ორ და სამრგოლიან სისტემაზე გადასვლამ შესაძლებლობა მოგვცა მნიშვნელოვნად განგვეტკიცებინა ისეთი აუცილებელი რგული, როგორიც არის საწარმოო გაერთიანებანი. თუ 1970 წელს ქვეყანაში იყო ექვსასამდე გაერთიანება, რომელთა წილად მოდიოდა მთელი პროდუქციის მხოლოდ შვიდი პროცენტი, დღეს მოქმედებს სამი ათასზე მეტი ასეთი კომპლექსი, მათი წვლილი სახალხო მეურნეობაში გამოიხატება რეალიზებული სამრეწველო პროდუქციის 40 პროცენტით. საწარმოო გაერთიანებებში დასაქმებულია თორმეტ მილიონზე მეტი კაცი. როგორც გამოანგარიშება მოწმობს, მრეწველობის ამ რგოლის შემდგომი განმტკიცებისაგან მიღებულმა საერთო ეკონომიკურმა ეფექტმა უნდა შეადგინოს მრავალი მილიარდი მანეთი.

მართვის გენერალური სქემები დარგების მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების დიდმნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. წარმატებით ხორციელდება ისინი საავტომობილო, ქვანახშირის, ელექტროტექნიკური, ნავთობგაზმოიპოვნის მრეწველობის, სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობისა და მთელ რიგ სხვა სამინისტროებში. ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფა აქ გულდასმით არის დახაბუნებული. გათვალისწინებულია თანამედროვე ტენდენციები მართვაში, მოქმედი გაერთიანებებისა და კომბინატების, და უწინარეს ყოვლისა ისეთი გაერთიანებებისა და კომბინატების გამოცდილება, როგორიც არის ლიხაჩოვის სახელობის ქარხანა, მაგნიტკა, „სვეტლანა“, „უარაღლდქვანახშირი“, რომლებზეც ლაპარაკი იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმას, რომ სამმართველო აპარატი მაქსიმალურად დაეუახლოოთ წარმოებას, რასაც ხელს უწყობენ შუალედური რგოლების გაუქმება, დარგობრივი მართვის სხვადასხვა „სართულის“ მუშაკთა უფლებებისა და მოვალეობების ზუსტი განსაზღვრა. იქმნება უკეთესი პირობები ქარხნების ღრმა სპეციალიზაციათვის, მატერიალური და ფინანსური რესურსების მანევრირებისათვის, საწარმოო საკითხების ოპერატიული გადაწყვეტისათვის.

მართვის სრულყოფა ცოცხალი, შემოქმედებითი საქმეა, რომელიც ვერ ითმენს შაბლონურ მიდგომას, აჩქარებას. მაგრამ დაუშვებელია ზზონიც. ამასთან მეტისმეტად გაჭიანურდა ეს მუშაობა ხორცრძის, მსუბუქ, კვების, ჩარხ-საინსტრუმენტო მრეწველობაში. ხელმძღვანელები, რომლებიც მისი განხორციელებისათვის პასუხს აგებენ, ამბობენ საწარმოო ერთეულების დიდი მანძილით დაშორებას მეთაური ქარხნებისაგან, სიძნელეებს მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში, აგრეთვე გასაგზავნი მასალებისა და პროდუქციისათვის განგარიშებათა სისტემის ნაკლოვანებებს. თქმა არ უნდა, არსებობს სიძნელენი, რომლებიც, როგორც წესი, წარმოიქმნება ხოლმე უწყებების, ოლქებისა და რესპუბლიკების „შესაყარზე“. მაგრამ ობიექტური მიზეზებით არ უნდა გავამართლოთ უინიციატივობა, უგერგილობა. საკავშირო სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სახმომარაგებამ, სხვა ცენტრალურმა უწყებებმა უნდა ვაძლიერონ ყურადღება სამეურნეოთაშორისო კავშირურთიერთობის მექანიზმის განვითარებისადმი, მათი ოპტიმალური ვარიანტების შემუშავებისადმი. ეს შესაძლებლობას მოგვცემს მეათე ხუთწლედში დავაჩქაროთ საწარმოო გაერთიანებათა შექმნა მრეწველობაში.

პრაქტიკა მოწმობს, რომ მართვის სრულყოფა სახურველ შედეგებს არ იძლევა, როცა ძირითადად მხოლოდ შექმნილ სტრუქტურას ეყრდნობიან, იფარგლებიან სანახევრო ღონისძიებებით, ფორმალურად უდგებიან საქმეს. სწორედ ასეთი მიდგომით აიხსნება ისეთი პატარა გაერთიანებების შექმნის ფაქტები, როცა იქ მომუშავეთა რიცხვი ხუთას ან ნაკლებ კაცს შეადგენს. ხდება ხოლმე, როცა მთავარი სამმართველოების ფირნიშები იცვლება ხაკავშირო გაერთიანებათა ფირნიშებით, არსებობად კი ყველაფერი უცვლელად რჩება, უფრო მეტიც — სამმართველო აპარატი იზრდება. ნელა ვითარდება მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციის პროცესი, ქვეყანაში ჯერჯერობით მხოლოდ ასოცდარვა სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება მოქმედებს. კვლავინდებურად ადგილებზე აშინებთ ხელმძღვანელ კადრებთან მუშაობის მთელი რიგი ახალი ფორმები, კერძოდ, ჯეროვნად არ იყენებენ ისეთ შემოწმებულ მეთოდებს, როგორიც არის ხელმძღვანელთა ატესტაცია, დასაწინაურებელი რეზერვის შექმნა, დუბლიორ-დირექტორთა ინსტიტუტის ორგანიზაცია.

მართვის სრულყოფის მსვლელობაში დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ პარტიულ კომიტეტებს. განვითარებული კოოპერაციისა და საწარმოო ქვეგანაყოფების სპეციალიზაციის პირობებში მათ უნდა წარმართონ საერთო მეცადინეობა მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისათვის, შრომითი კოლექტივები აღზარდონ მთელი გაერთიანების მუშაობის მაღალი საბოლოო შედეგებისათვის პასუხისმგებლობის სულისკვეთებით. უნდა განვამტკიცოთ კომპლექსში შემავალ საწარმოთა პირველადი პარტორგანიზაციები, განვავითაროთ მათი აქტივობა და ურთიერთობა, შეექმნათ პარტიული მომთხოვნელობის ატმოსფერო, კონკრეტულად ვუხელმძღვანელოთ სოციალისტურ შეჯ ბრებას. ამას მოუწოდებს კომუნისტებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება საწარმოო გაერთიანების პირობებში გორკის ავტოქარხნის პარტიულ ორგანიზაციათა მუშაობის შესახებ.

მრეწველობის მართვის სრულყოფა უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია სამეურნეო ხელმძღვანელთა, პარტიულ კომიტეტთა, მეცნიერთა, სპეციალისტთა მიზანდასახულ ერთობლივ მოქმედებაზე. ნაყოფიერ შედეგებს რომ მივაღწიოთ, უფრო ფართოდ უნდა ჩავაბათ ამ საქმეში შრომითი კოლექტივები, დავეურდნოთ მასების ინიციატივას, მათს გამოცდილებასა და მოქალაქეობრივ სიმწიფეს.

დარგების მართვის გენერალური სქემების დანერგვასთან დაკავშირებული მუშაობის წარმატებით დამთავრება შესაძლებლობას მოგვცემს ავამოქმედოთ ჩვენი სოციალისტური ეკონომიკის აღმავლობის ახალი რეზერვები, ახალი შესაძლებლობანი.

14 მარტის PRAVDA

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐ

ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲫᲘᲔᲑᲐ

მტკიცე ტრადიციად ვაქციოთ ყოველდღიური დავალებების უთუოდ გადაჭარბებით შესრულება

ჩვენი საამქროს კოლექტივი სპეციალურ ჩარხებს ამზადებს. ამიტომ სერიული წარმოებისაგან განსხვავებით აქ განსაკუთრებით მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტებია საჭირო, მუშა თავისი საქმის მარტო მექანიკური შემსრულებელი კი არ უნდა იყოს, არამედ შემოქმედებითი აზროვნების უნარიც უნდა ჰქონდეს.

ჩვენ, კიროველი ჩარხმშენებლები № 3 საამქროს № 2 სახარატო უბნის გამოცდილი მუშები, ნიადაგ ამას ვცდილობთ, რომ **ყოველ ახალგაზრდა მუშას ინიციატივის გრძნობა გავუმახვილოთ, შემოქმედებითი ძიება ვასწავლოთ.** ინიციატივა და ძიება, პუნებრივია, სიახლეს ბადებს, ყოველი სიახლე კი ახალი რეზერვია წინსვლის გზაზე.

სწორედ ასეთი რეზერვი იყო თავის დროზე მრავალჩარხოსანთა მოძრაობა. ხარატებმა, მრარხავებმა, მრარდავებმა თავიანთი სამუშაო ზონა გაფართოეს, ერთი ჩარხის მაგივრად ორ ჩარხთან დაიწყეს მუშაობა, რითაც ერთიორად ამაღლეს სამუშაო ადგილებზე წარმოების ეფექტიანობა.

საწარმოში ამ საქმეს მაშინვე გამოუჩნდნენ მიმბაძველნი, რადგან, რა დასამალავია, კვალიფიციური კადრების ნაკლებობის გამო ხშირად ჩარხები მთლიანად არ არის დატვირთული, განსაკუთრებით მეორე ცვლაში.

საწარმოს ადმინისტრაციამ, პარტიულმა ორგანიზაციამ მრავალჩარხოსანთა მოძრაობას დიდი ყურადღება დაუთმეს, განხორციელდა სტიმულირების ღონისძიებები. დღეს ჩვენი კომპლექსურ-მექანიკური ბრიგადის წევრები ერთის მაგივრად ორ ჩარხს ემსახურებიან. პირადად მე ორ ჩარხთან ვმუშაობ. **რა ეფექტს იძლევა საწარმოო ზონის ასეთი გაფართოება?**

ცვლაში ნორმით ჩარხების 15 დასახელების სხვადასხვა დეტალი უნდა დავამზადო, როდესაც ეს არც ისე ბევრია, მაგრამ დეტალები მეტად დიდი გაბარიტისა და სახარატო თვალსაზრისით ძალიან რთულია. ორ ჩარხთან მუშაობა ახლა ჩემთვის და ჩემი კოლეგებისათვის უკვე ღირსების საქმე გახდა, რადგან ჩვენი პროფესიული ოსტატობა უკეთ გამოჩნდა, პირადად გამომუშავებებაც იმატა, შრომას მეტი სტიმული მეცა.

ახლა ცვლას ის არ დავამთავრებ, რომ 15-ის ნაცვლად 18 მაღალხარისხოვანი დეტალი არ ჩავაბარო. ეს მიზანი ჩემი პირადი ვალდებულებაა და იგი ტრადიციად მაქვს გადაქცეული. ასევე იქცევიან ჩემი კოლეგებიც.

ქუთაისისა და თბილისის პირველი მაისის სახელობის რაიონის პარტიული ორგანიზაციების ინიციატივა ყოველდღიური, ყოველთვიური და ყოველკვარტალური გეგმების უთუოდ შესრულების ტრადიციად გადაქცევას ითვალისწინებს. ბევრ კოლექტივში მას ენთუზიაზმით დაუჭერეს მხარი, ჩვენს კოლექტივსაც იგი დიდ სარგებლობას მოუტანს.

ბრიგადის წევრებმა გადაწყვიტეთ დღეს ახალი თაოსნობით მივმართოთ დედაქალაქის სამრეწველო საწარმოთა მაღალკვალიფიციურ მუშებს, **ყოველდღიური, ყოველთვიური, ყოველკვარტალური გეგმების უთუოდ გადაჭარბებით შესრულება მტკიცე ტრადიციად გადავაქციოთ.**

ეს არის ჩვენი ვალდებულება იმ დიდი ჯილდოს პასუხად, რომელიც თბილისის მშრომელებმა შარშანდელი შედეგებით საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის მიიღეს.

რით ვამჩნევთ ამ ვალდებულების შესრულებას? პირველ რიგში იმით, რომ განუხრელად ვიბრძოლებთ კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, დავიცავთ სანიმუშო საწარმოო დისციპლინას, ვიშრომებთ მხოლოდ მაღალი პასუხისმგებლობით, დაოსტატებაში დავეხმარებით ახალგაზრდა მუშებს.

პირადად მე ახლა ამბილის ანკარიშში ვშრომობ, პროდუქციის პირადი დამლით ვუშვებ, პირველი წარდგენისთანავე ვიბარებ ტექნიკური კონტროლის განყოფილებას.

შეჯიბრებაში თაოსნობის გამოჩენა, ყოველ საუმუშაო უბანზე შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის ზრუნვა პირადად ჩვენი მოვალეობაა და ვეცდებით ეს მოვალეობა ისე შევასრულოთ, როგორც მუშა კაცს, კიროველ სახელობის ჩარხსაშენებლო ქარხნის დიდი ტრადიციების მქონე კოლექტივის წევრს სჩვევია.

თუ კი ვიქნებით მხოლოდ მოწინავენი, ვიქნებით მუდამ გამარჯვებულიც!

ა. ჩარგეიშვილი,

თბილისის ჩარხსაშენებელი გაერთიანების კომპლექსური ბრიგადის ხარატი, 1976 წლის შეჯიბრების გამარჯვებული.

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲗ

13 მარტს მოსკოვში საბჭოთა მთავრობის მოწვევით ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა თურქეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი იხსან საბრი ჩაგლაიანგილი.

თურქეთისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე სტუმარს შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სხვა ოფიციალური პირები.

შეხვედრთა შორის იყო თურქეთის რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში ნამიკ იოლგა.

14 მარტს მოსკოვში დაიწყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოსა და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ი. ს. ჩაგლაიანგილის მოლაპარაკები.

მოლაპარაკების დროს, რომელიც მეგობრულ, საქმიან ვითარებაში მიმდინარეობდა, მინისტრებმა განიხილეს ორმხრივი ურთიერთობის ბევრი საკითხი. მათ დაადასტურეს, რომ წარმატებით ვითარდება საბჭოთა კავშირ-თურქეთის თანამშრომლობა სხვადასხვა დარგში და გამოთქვეს მტკიცე გადაწყვეტილება განამტკიცონ და გაფართოონ ორ ქვეყანას შორის არსებული ნაყოფიერი კეთილმეზობლური ურთიერთობა.

გაიმართა აგრეთვე აზრთა საფუძვლიანი გაზიარება.

იმავე დღეს ა. ა. გრომიკომ ი. ს. ჩაგლაიანგილის პატივსაცემად გამართა საუზმე, რომელს დროსაც მათ სიტყვები წარმოთქვეს. საუზმემ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

(საკადესი).

ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲗᲐ ᲣᲠᲘᲚᲝᲒᲐ

ბაკო. მუშაობა დაამთავრა რესპუბლიკის მხატვართა მერვე ყრილობამ, რომელმაც განიხილა აზერბაიჯანში სახვითი ხელოვნების შემდგომი განვითარების პრობლემები, პარტიის წინასწარდასახულობათა განხორციელების საქმეში ხელოვნების ოსტატთა ამოცანები, დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისათვის ღირსეულად მომზადების საკითხები.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. ა. ალიევი.

ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲙᲠᲔᲛᲚᲨᲘ

14 მარტს კრემლში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა მიიღო თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ი. ს. ჩაგლაიანგილი, რომელიც საბჭოთა თანამრომლობის მოწვევით ოფიციალურ ვიზიტად არის ჩამოსული საბჭოთა კავშირში.

მეგობრულ ვითარებაში ჩაეღო საუბრის დროს გაიმართა აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირისა და თურქეთის ურთიერთობის განვითარების საკითხებზე, აგრეთვე ორივე მხარისათვის საინტერესო მთელ რიგ საერთაშორისო პრობლემებზე.

ა. ნ. კოსიგინმა დაადასტურა, თუ რაოდენ პრინციპული ხასიათისაა საბჭოთა კავშირის ის კურსი, რომ კიდევ უფრო გაღრმავდეს ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა თურქეთთან სხვადასხვა დარგში — პოლიტიკურ, ეკონომიკურ, მეცნიერულ-ტექნიკურ, კულტურულ და სხვა დარგებში. როგორც მან აღნიშნა, ამჟამად არის საჭირო წინამძღვრები საიმისოდ, რომ განმტკიცდეს კეთილმეზობლური ურთიერთობა საბჭოთა კავშირისა და თურქეთის ხალხთა ინტერესებისათვის. თავის მხრივ, ი. ს. ჩაგლაიანგილმა მაღალი შეფასება მისცა ორი ქვეყნის თანამშრომლობის ნაყოფიერ ხასიათს. (საკადესი).

ᲣᲗᲣᲝᲓ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲣᲚᲔᲒᲗ

თბილისი. ყოველთვიური გეგმების უთუოდ შესრულება ტრადიციად უნდა იქცეს, — ამ დევიზით შრომობენ ჩარხმშენებელი გაერთიანების ხაწარმოო კოლექტივები.

იანვარ-თებერვალში გაერთიანებამ დამკვრელურად იშრომა და სახელმწიფო გეგმა გადაჭარბებით შეასრულა, გამოშვებულია 40 ათასი მანეთის პროდუქცია და რეალიზებულია 34 ათასი მანეთისა.

აღსანიშნავია, რომ გაერთიანების სამკვრელის კოლექტივები ნაკისრ ვალდებულებას პირნათლად ასრულებენ, სულ უფრო მცირდება ჩამორჩენილი ბრიგადების და მუშების რიცხვი.

შეჯიბრებაში დაწინაურდნენ № 3 საამწყობო და № 14 მექანიკური საამქროების კოლექტივები, რომლებსაც ა. შუთოძე და მ. ლომთაძე ხელმძღვანელობენ.

ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲒᲐᲛᲝᲔᲮᲛᲐᲣᲠᲜᲔᲚ

ცხინვალი. (საკ. კორ.) **კომკავშირულ-ახალგაზრდ ული ბრიგადა, რომელსაც მარგო ბესტავაშვილი ხელმძღვანელობს, ერთ-ერთი მოწინავეა ცხინვალის სამკერავლო ფაბრიკაში.**

ბრიგადის წევრები ფართოდ გამოეხმაურნენ ლენინგრადელი ახალგაზრდების პატრიოტულ თაოსნობას „დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს — 60 დამკვრელური კვირა!“ შეჯიბრებაში აქტიურად ჩაება თვითეული კომკავშირელი.

ახალგაზრდები შრომობენ დევიზით — „არცერთი ჩამორჩენილი ჩვენ გვერდით“, „არცერთი რეკლამაცია ჩვენი მისამართით“.

ᲨᲐᲠᲨᲘᲜᲓᲔᲚᲒᲕᲔ ᲛᲔᲢᲘ

მცხეთა. (საკ. კორ.). **ახალ-ახალ წარმატებას აღწევენ მცხეთელი მეკონსერვეები დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში.**

მეათე ხუთწლედის მეორე წლის პირველ ორ თვეში მათ გაასაღეს იმაზე მეტი ნაწარმი, ვიდრე გეგმა ითვალისწინებდა. წლეულადელი მაჩვენებლები შარშანდელს საგრძნობლად აღემატება, ამ წარმატებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ხილის კონსერვების პირველი და მეორე საამქროების კოლექტივებმა, რომლებსაც თ. ნიკარაძე და თ. გოთომაშვილი ხელმძღვანელობენ. მათ დავალებები 120 და 115 პროცენტით გაანაღდეს.

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

ᲚᲘᲠᲡᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ — ᲓᲘᲐᲓ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲡ!

16 აპრილს კომუნისტური შაბათობაა

მშენებელთა წვლილი

თბილისი. („კომუნისტის“ კორ.). ტრესტ „ინჟმშენის“ კოლექტივი აქედანვე აქტიურად ემზადება ლენინური შაბათობის დღის — 16 აპრილის აღსანიშნავად, რომელიც მშენებლებმა დამკვრელური შრომის დღედ გამოაცხადეს.

ტრესტის მმართველის მოადგილემ **ბ. სიკინავამ** გაგვაცნო წინასწარ შემუშავებული გეგმა. ამ დღეს 530 კაცი ჩვეულებრივ იმუშავებს სამრეწველო საწარმოებში. ისინი გამოუშვებენ და დაამზადებენ 13 ათასი მანეთის პროდუქციას. ხოლო ხუთწლედის ფონდში 1800 მანეთს გადარიცხავენ.

მშენებლებს გადაწყვეტილი აქვთ შაბათობა განსაკუთრებული ენთუზიაზმით აღნიშნონ სამშენებლო ობიექტებზე. 16 აპრილს 1.350 კაცი თავის წვლილს შეიტანს მეათე ხუთწლედის მეორე წლის გეგმის წარმატებით განხორციელებაში, გამომუშავებულ 5500 მანეთს კი ხუთწლედის ფონდში გადარიცხავენ, სანაპიროზე საცურაო აუზის მშენებლობაზე შეასრულებენ არმატურის სამუშაოებს და 60 კუბურ მეტრ ბეტონს ჩაასხამენ.

ᲔᲠᲗᲘᲡᲣᲚᲝᲕᲜᲐᲓ

თბილისი („კომუნისტის“ კორ.). 16 აპრილს, ტრადიციულ „წითელ შაბათობაზე“, რომელიც ვ. ი. ლენინის დაბადების 107-ე წლისთავს ეძღვნება, ერთსულოვნად გამოვა დედაქალაქის № 1 წისქვილკომბინატის მთელი კოლექტივი.

როგორც ჩვენთან საუბარში კომბინატის დირექტორმა **გ. კაკავაძემ** აღნიშნა, 350 კაცი თვითეული უშუალოდ თავ-თავის ძირითად უბანზე იმუშავებს. ამ დღეს ისინი 230 ათასი მანეთის პროდუქციას გამოუშვებენ, მათ შორის 10 ათასი მანეთისას — დაზოგილი ნედლეულის ხარჯზე. წისქვილკომბინატელები ხუთწლედის ფონდში 1200 მანეთს გადარიცხავენ.

მეშახტეთა გადაწყვეტილება

ტყიბული. (საკ. კორ.). ერთსულოვნად ემზადება ორჯონიკიძის სახელობის შახტის კოლექტივი ენერგიული შაბათობისათვის. მეშახტეებმა მტკიცედ გადაწყვიტეს, რომ ამ დღეს უჩვენონ მაღალნაყოფიერი შრომის მაგალითი, იმუშაონ დაზოგილი ელექტროენერგიითა და დამხმარე მასალებით.

შაბათობაზე შახტის ხუთივე საექსპლოატაციო უბნის მეშახტეები სანგრევებში ჩვეულებრივად იმუშავებენ. განზრახული აქვთ ამ დღეს ამოიღონ 1.000 ტონა მაღალხარისხოვანი ენერგეტიკული სათბობი. გამყვანთა ბრიგადები სამუშაო ფრონტს მოამზადებენ, გაიყვანენ 6 ვრცივი მეტრის სამთო გამონამუშევარს, შეაკეთებენ 7 მეტრი სიგრძის ლითონისა და ხის გამაგრებას.

ᲔᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲡᲝᲤᲚᲐᲓ

მინდვრებსა და ბაღებში

ზნაური. ავნევის გურამიშვილის სახელობის კოლმეურნეობის მინდვრებსა და ბაღებში ენერგიულად შრომობენ ტრაქტორისტები თენგიზ და აკაკი ჯავახიშვილები, რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებიან. მეურნეობაში შემოდგომის ნათესებს გვარჯილით ანოყიერებენ, შეაქვთ ნაკელი და მინერალური სასუქები, სხლავენ ხეხილს. უკვე გასხლულია 200 ჰექტარზე მეტი ხეხილი, ებრძვიან მავნებლებს.

ბ. კაჩნიაშვილი

სასუქები — ჯეჯილებში!

საჩხერის რაიონის კოლმეურნეობებში დიდი მზრუნველობით უვლიან ხორბლის ნათესებს. 1.400 ჰექტარი ნათესიდან აზოტოვანი სასუქებით უკვე გამოიკვება 1.000 ჰექტარზე მეტი. დანარჩენ 400 ჰექტარზე ამ დღეებში დამთავრდება ხორბლის ნათესების გამოკვება. ჯეჯილი აგროვადებში გამოკვებეს არგვეთის, საირხის, ორღულის, სარეკის კოლმეურნეობებმა და მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ. ამასთან ერთად მიმდინარეობს ჯეჯილის გადაფარცხვა, მალე დაიწყება სარეველებისაგან ნათესების გაწმენდა.

ხორბლის ნათესები ყველგან კარგია. რაიონის მხვნელ-მთესველებს გადაწყვეტილი აქვთ შემდეგშიც არ მოაკლონ მზრუნველობა ნათესებს და საიუბილეო წელს უზრუნველყონ ხორბლის უხვი მოსავლის მიღება.

ა. მაჭარაშვილი,
„კომუნისტის“ კორ.

140.000 ტონა ხორცი 1977 წელს!

საკარმიდამო მეცხოველეობა ხორცის წარმოების რეზერვია

შუახევის რაიონში საკარმიდამოზე გაზრდილი პირუტყვის სახელმწიფოსათვის მიყიდვა წლეულს კარგად მიმდინარეობს. რაიონში უკვე მიჰყიდეს 109 ტონა ხორცი. **(საკ. კორ.).**

საჩხერის რაიონიდან ბევრი მშრომელი სახელმწიფოს აბარებს შინ გამოზრდილ პირუტყვს და სათანადო ანაზღაურებასაც იღებს.

პერევისელმა **ავთანდილ სვანიძემ** სახელმწიფოს 300 კილოგრამი საქონლის ხორცი მიჰყიდა, ჯალაურთელმა **ნინო იაკობიძემ** — 225 კილოგრამი. მოძვის მეცხოველეობის საკოლმეურნეოთაშორისო მეურნეობის მუშამ **ელგუჯა ნოზაძემ** ღორი შინ გაასუქა და 130 კილოგრამი ხორცი სახელმწიფოს ხელსაყრელ ფასში მიჰყიდა. ასეთი მშრომელები რაიონში სხვაც ბევრია. **(საკ. კორ.).**

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება და საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტი, პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული აქტივისათვის ატარებს

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ კითხვას,

მიძღვნილს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი.

პირველი კითხვა ჩატარდება სამშაბათს, 15 მარტს, 15 საათზე კინოს სახლის სააქტო დარბაზში (ლენინის ქ. 2).

ლექციებით გამოვლენ: სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის სკკპ ისტორიის კათედრის ხელმძღვანელის მოადგილე, პროფესორი **ბ. ვ. პრასნოვი — „დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავი მარქსიზმ-ლენინიზმის ზეიმია“;** სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის პარტიული მშენებლობის კათედრის ხელმძღვანელის მოადგილე. პროფესორი **ი. ვ. ლერბინოვი — „სკკპ XXV ყრილობა მნიშვნელოვანი ნიშანსვეტია კომუნიზმის მშენებლობის გზაზე“.**

ᲛᲘᲤᲠᲘᲜᲐᲕᲡ „ᲙᲝᲡᲛᲝᲡ-897“

საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოსი-897“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკადესი).

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲓᲘᲐᲓ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ

ესტონთმა — ჩვენი ქვეყნის ყველაზე ახალგაზრდა და ერთ-ერთმა ყველაზე პატარა რესპუბლიკამ აყვავებას მიაღწია საბჭოთა ხელისუფლების წლებში.

დღეს ესტონეთი ინდუსტრიული რესპუბლიკაა კარგად განვითარებული სოფლის მეურნეობით. ესტონეთის სს რესპუბლიკაში გაკეთებული ექსკავატორები, ელექტრონული მოწყობილობა, მუსიკალური ინსტრუმენტები და ბევრი სხვა რამ საზღვარგარეთის 80-ზე მეტ ქვეყანაში იგზავნება. ესტონელი მებადურები, ზღვაოსნები და მანქანათმშენებლები, ქიმიკოსები, ენერგეტიკოსები, მეშახტეები და სოფლის მეურნეობის მუშაკები, მეცნიერები და სპეციალისტები წარმატებით ახორციელებენ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს.

ტალინის სავაჭრო ნავსადგური ესტონეთის საზღვაო ჭიშკარია. მეათე ხუთწლედში მისმა კოლექტივმა მნიშვნელოვნად უნდა გააღიდოს ნავსადგურის გამტარუნარიანობა.

სურათზე: ტალინის ნავსადგურის ნავმისადგომთან.

სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში!

ჩვენი ახალი რეზერვები

მეცნიერთა და წარმოების მუშაკთა თანამშრომლობით

ეფექტიანი ბრძოლა — ეფექტიანობის ამაღლებისათვის

ზესტაფონი

ღლის წესრიგშია პრობლემა:

ჭიათურა-ზესტაფონის სამრეწველო კვანძი და მისი მომავალი △ ჭიათურის მანგანუმის ღარიბი მადნების და მანგანუმის ნარჩენების გამოყენება ფეროშენადნობთა ქარხანაში

ამის შესახებ იმსჯელეს ზესტაფონის სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე, რომლის ანგარიშს ვბეჭდავთ ამ გვერდზე.

მრგვალ მაგიდასთან

ზესტაფონში გაიმართა რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელმაც განიხილა ჭიათურის ღარიბი მანგანუმის მადნებისა და მდინარე ყვირილაში მანგანუმის ნალექების გამოყენების საკითხები. **კონფერენცია მოიწვიეს საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანამ, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტმა და გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციამ.**

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის ზესტაფონის რაიკომის პირველმა მდივანმა **ბ. მერკვილაძემ.**

ჭიათურის მანგანუმის სამთამადნო კომბინატის მმართველის მოადგილემ **ვ. სულამანიძემ** გააკეთა მოხსენება „ჭიათურის საბადოს სანედლეულო ბაზა ახლა და პერსპექტივაში“. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის დირექტორმა **ა. ცქიტიშვილმა** თავისი მოხსენება მიუძღვნა დაბალხარისხოვანი მანგანუმის კონცენტრატების გამოყენებას ნახშირბადოვანი ფერომანგანუმისა და სილიკომანგანუმის წარმოებაში. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის პირობებში ჭიათურის ღარიბი მანგანუმის მადნის გამოყენების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს შეეხო თავის მოხსენებაში თბილისის მეტალურგიული ქარხნების საპროექტო სახელმწიფო ინსტიტუტის მთავარი ეკონომისტი **დ. ნისკუბინი.**

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა **რ. აგლაძემ,** კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის დირექტორმა **ნ. გომელაურმა,** საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების გამგემ **გ. ნაკაიძემ,** საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტმა **ს. მაზმიშვილმა,** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომლებმა **ო. ხეცურიანმა, გ. ნიკოლაიშვილმა** და სხვებმა ბევრი საინტერესო მოსაზრებანი გამოთქვეს.

რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ზ. ა. ჩხეიძე.**

ერთი შეხედვით, თითქოს ბევრს ვზრუნავთ ჭიათურის მანგანუმის უნიკალური საბადოს მომჭირნედ ექსპლოატაციისათვის. მიმდინარეობს მეცნიერული კვლევა, ლაბორატორიული ცდები, წარმოებაში ინერგება ახალი ტექნიკა და ტექნოლოგია, მაგრამ აი ჩვენ თვალწინ მაინც შეიცვალა საბადოს სანედლეულო სტრუქტურის ბალანსი. დასანანია, მაგრამ ეს ასეა.

მსოფლიოში ამ ყველაზე საუკეთესო საბადოში ახლა მეტი ხვედრითი წილი მოდის კარბონატულ მადნებზე. თუ საქმეს სეროზულად არ მიეხედეთ, ალბათ მალე დადგება დრო, რომ ღარიბი და კარბონატული მადნების იმედად დავრჩებით.

ქართული მანგანუმის მოპოვებიდან ასი წელი სრულდება. მთელი ამ ხნის განმავლობაში დახარბებულად ვზიდავთ ან საექსპორტოდ გაგვაქვს პიროქსიდული, პირველი და მეორე ხარისხის მანგანუმის მადნები. თუ იმასაც ვიღიარებთ, რომ მადნის მოპოვების, გამდიდრებისა და მეტალურგიული გადამუშავების დროს თითქმის ნახევარი დანაკარგებზე მოდის, მაშინ თავის მართლების არავითარი ობიექტური ვერსია აღარ გვაქვს. **გამოანგარიშებულია, რომ თუ ამ დანაკარგებს აღვკვეთავთ, ეს ახალი საბადოს ტოლფარდოვანი რეზერვი იქნება.**

მეორე და ძალიან დიდი რეზერვია ღარიბი მადნების გამდიდრების ელექტროქიმიური მეთოდი, რომლის მრავალი ვარიანტი ჩვენს ინსტიტუტშია დამუშავებული.

ზესტაფონში პირველად მთელ ევროპაში, დიდი სამამულო ომის პირველსავე წელს ითვისეს მანგანუმის მადნის ელექტროქიმიური გამდიდრებით ელექტროლიზური მეტალური მანგანუმის მიღება. მის შემდეგ დიდმა დრომ განვლო, გამოცდილებაც დიდი შეგვინეთ და ახალი მეთოდებიც დავამუშავეთ.

მაღალი ეფექტიანი ბრძოლა ეფექტიანობის ამაღლებისათვის

ელექტროლიზით მიღებული ლითონის წარმოება გაიზარდა. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მარტო საექსპორტოდ გაიგზავნა ათასობით ტონა უძვირფასესი შენადნობი და სახელმწიფომ დიდი მოგება მიიღო. ამ დიდი შემოსავლის სანედლეულო წყაროა ღარიბი მანგანუმის მადნები, რომლებიც მეტალურგიულ ტექნოლოგიაში ჯერჯერობით საერთოდ არ არის გამოყენებული.

ელექტროლიზურ მანგანუმზე მოთხოვნილება ძალიან დიდია, რომლის სრულად დაკმაყოფილება დღესდღეობით შეუძლებელი ხდება. დეფიციტის გამო ასეთ ლითონებს სპეციალური ფოლადების დასამზადებლად, ფერადი ლითონების შენადნობებში და მაღალი სიწმინდის რეაქტივებისათვის ხმარობენ. ცხოვრებამ დღის წესრიგში დაყარა ზეწმინდა მანგანუმის წარმოების გადიდების აუცილებლობა, რისთვისაც ჩვენს ქვეყანაში ყოველგვარი პირობები არსებობს.

ღარიბი მადნების ელექტროქიმიური გამდიდრების ერთერთი ვარიანტი შესაძლებლობას იძლევა ელექტროენერგიის მცირე დანახარჯით მივიღოთ მანგანუმის 60 პროცენტის შემცველი უფოსფორო კონცენტრატი.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ზეწმინდა მანგანუმის საპრობლემო ლაბორატორიის და საკავშირო შესაბამისი ინსტიტუტის გაერთიანებული ბრიგადის მიერ, სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის სამინისტროს დავალებით ლენინგორადის ალუმინის ქარხანაში ჩატარდა ღარიბი მადნებისაგან წარმოებული კონცენტრატის გამოცდა. დადგინდა, რომ ალუმინის მისაღებ საწარმოო აბაზანაში თიხამიწასთან ერთად კაზმში მანგანუმის ელექტროქიმიური კონცენტრატის შერევა საშუალებას იძლევა მივიღოთ ალუმინ-მანგანუმის ძვირფასი ლიგატურა, რომელზეც უდიდესი მოთხოვნაა.

სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტრო გულისხმიერად მოეკიდა კვლევითი მუშაობის შედეგებს. საქართველოს მეტალურგიის საპროექტო ინსტიტუტს („გიპრომეზს“) მიეცა დავალება ჭიათურა-ზესტაფონის სამრეწველო კვანძში წლიურად 15.000 ტონა ელექტროლიტური მანგანუმის და 30.000 ტონა მანგანუმის ელექტროქიმიური კონცენტრატის მწარმოებლობის საწარმოს დაპროექტებისათვის. „ჭიათურმანგანუმის“ სამთამადნო კომბინატმა გამოყო თანხა საპროექტო სამუშაოების შესასრულებლად, მაგრამ პრაქტიკულად ჯერ არაფერი გაკეთებულა. ეს სამუშაო აუცილებლად წლეულს უნდა დამთავრდეს, მისი გაჭიანურება დაანშაულია.

თუ წარმოებაში მასობრივად დაინერგება ელექტროქიმიოსების მიერ მიღებული მეცნიერული კვლევის შედეგები, მაშინ დროულად გადაიჭრება მანგანუმის ღარიბი მადნების გამოყენების პრობლემა და აღარ იქნება პიროქსიდული კონცენტრატების დეფიციტი.

რ. აგლაძე,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

მოდის ქართული ფეროშენადნობები

მეათე ხუთწლედის პირველ წელს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივმა ოთხი ათასი ტონა ზეგეგმიური მაღალხარისხოვანი ლითონი გამოუშვა. საწარმოს პროდუქციაზე დიდი მოთხოვნაა. იგი ჩვენი ქვეყნის 200-ზე მეტ საწარმოსა და 35 სახელმწიფოში იგზავნება.

წლეულს მაღალი მიჯნა დაისახა მდნობელთა კომუნისტური შრომის ბრიგადამ, რომელსაც გ. ღამბაშიძე ხელმძღვანელობს.

ბრიგადა ერთ-ერთი საუკეთესოა საწარმოში, რაშიც მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის წარჩინებულ მეტალურგს, წარმოების ვეტერანს გ. ღამბაშიძეს, რომელმაც საყვარელ პროფესიას სამ ათეულ წელზე მეტი შეალია.



სურათებზე: მარცხნივ—მდნობელთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი გიტო ღამბაშიძე; მარჯვნივ — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში მიმდინარეობს ლითონის გამოდნობა.

გ. გერსამიას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

წარმოება სიახლეს ელის

სპეციალური აგლომერატი მთლიანად აკმაყოფილებს მეტალურგთა მოთხოვნას

პირომეტალურგიის ლაბორატორიაში ფეროშენადნობების საკაზმე მასალების დანაკროვნების სხვადასხვა ვარიანტთან ერთად ესწავლობდით აგლომერაციის საკითხს. მრავალმხრივი ცდებით შეისწავლება ჭიათურის მანგანუმის მაღალხარისხოვანი კონცენტრატების, ღარიბი ანგაჟეული, დაჟანგული, კარბონატული და შლამების შეცხობის პროცესი და მიღებული პროდუქტიდან მანგანუმიანი ფეროშენადნობების გამოდნობა.

ცდების შედეგად დადგინდა, რომ ვარიანტებიდან აგლომერატის ყველაზე რაციონალურ კომპოზიციებად ფერომანგანუმის დნობისათვის უნდა მივიჩნიოთ ჟანგეული პირველი ხარისხის კონცენტრატის ნარევი კარბონატულ კონცენტრატთან. ხოლო სილიკომანგანუმის მისაღებად — ჟანგეული მეორე ხარისხის კონცენტრატის ნარევი დაჟანგულ (მჩატეფორტბიან) კონცენტრატთან. პარალელურად შესწავლილია აგლომერატის გამოსავლიანობა, პროცესის ხანგრძლივობა და დანადგარის მწარმოებლობა. გარდა ამისა დადგენილია შეცხობილი კაზმის სიმტკიცე, ქიმიური და მინერალური შემადგენლობა.

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ მანგანუმის კარბონატული კონცენტრატების შერევა საგლომერაციო კაზმში პირველი ხარისხის მანგანუმის მადანთან ერთად, გარკვეულად დაბლა სცემს შეცხობის მაჩვენებელს, მაგრამ მიღებული პროდუქტი თავისი მეტალურგიული თვისებებით მთლიანად აკმაყოფილებს ფეროშენადნობთა მიღებისათვის საჭირო მასალების მოთხოვნებს. ამრიგად, პრობლემის მეცნიერული მხარე გადაჭრილია დადებითად. ჭიათურის მანგანუმის დაბალხარისხოვანი კონცენტრატის შენარევით მიღებული აგლომერატი მთლიანად აკმაყოფილებს მეტალურგთა მოთხოვნებს და რაც უფრო სწრაფად დაინერგება იგი საწარმოო მასშტაბით, მით უკეთესი იქნება მომავლისათვის.

ო. ხეცურიანი,

მეტალურგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

ახალი შენადნობები

ფოლადის მწარმოებელი გიგანტების წინაშე ვალში არ არის ზესტაფონელი ფეროშენადნობლები. აქ შემუშავებულია 30-ზე მეტი ახალი შენადნობის ტექნოლოგია, რომლებიც წარმატებით ინერგება ქვეყნის სხვა ქარხნებში.

ახალი კომპლექსური დამატანგველების საკაზმე მასალად გამოყენებულია არადეფიციტური, იაფადღირებული დაბალი ხარისხის მანგანუმის კონცენტრატები, ქარხნის ნარჩენი წიდები, ბარიუმის ღარიბი მადანი და ტყიბულის ლუსტადშეცხობადი მაღალნაცრიანი ნახშირი.

კომპლექსური შენადნობის კაჟბადმანგანუმ-კალციუმ-ალუმინ-მაგნიუმის დანერგვამ ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში 36 პროცენტით შეამცირა ჭედადი თუჯის ნაკეთობათა მოწვის რეჟიმის ხანგრძლივობა, მოწვისთვის განკუთვნილ ნაკეთობათა მეთოდურ ღუმელში მიწოდების ტემპი ორჯერ გაიზარდა, ამავლდა მწარმოებლობა და ხარისხი, გაუჯობესდა შრომის პირობები, შემცირდა წუნი. ყოველივე ეს ქარხანას წელიწადში 200 ათას მანეთს დაუზოგავს.

უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ზესტაფონში წარმოებულია 3.000 ტონა მრავალკომპონენტიანი კომპლექსური შენადნობი. მათი გამოყენებით თუჯისა და ფოლადის წარმოებაში მიღებულია ერთი მილიონი მანეთის ეკონომია.

ფაქტები ცხადყოფს, რომ კომპლექსური შენადნობები მიიღება ღარიბი მადნებისაგან, რომელთაც საკაზმე მასალად ემატება იაფადღირებული ნედლეული. მოთხოვნა ამგვარ შენადნობებზე ძალზე დიდია. ამიტომ სამთოელები და მეტალურგები ერთობლივად უნდა მიუდგნენ ამ საკითხის გადაჭრას — წარმოებაში ფართოდ გამოიყენონ ღარიბი მადნები, რაც გამორიცხავს აერჩქიდული კონცენტრატების დეფიციტის მოახლოებას.

თ. ჩუბინიძე,

მეტალურგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

ჭიათურის მანგანუმის საბადოს სახალხო მეურნეობის სამსახურში ჩადგომიდან მალე 100 წელი შეუსრულდება. სიამაყით ემზადებიან ამ ზეიმისათვის ქალაქის მშრომელები.

ამ საბადომ თავისი უნიკალურობით მსოფლიო აღიარება მოიპოვა. აქ გავრცელებული მანგანუმის მადნები გეოლოგიური, მინერალური, ფიზიკურ-ქიმიური და სხვა თვისებებით სხვა მადნებისაგან საგრძნობლად განსხვავდება. საბადოს აუბაზე ძირითადად სამი ტიპის — ჟანგეული, კარბონატული და დაჟანგული მადანი გვხვდება. მათი მარაგის პროცენტული შეფარდება ასეთია: ჟანგეული მადნებში შეადგენს 36 პროცენტს, კარბონატული — 46, ხოლო დაჟანგული — 18 პროცენტს.

ჟანგეული მადნები გამდიდრების უბრალო ტექნოლოგიით იძლევიან მაღალხარისხოვან პიროქსიდულ კონცენტრატს, რომელიც მანგანუმის, ფოსფორის და სხვა ელემენტების შემცველობით სრულიად აკმაყოფილებს მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის მოთხოვნებს. რამდენიმე რთულია კარბონატული და დაჟანგული მადნების სახალხო მეურნეობაში გამოყენების საკითხი. ამ მადნებს მანგანუმის დაბალი შემცველობა ახასიათებს, ამიტომ გამდიდრების რთულ, ძვირადღირებულ მეთოდებს მოითხოვს და მათგან მიღებული კონცენტრატები მეტალურგიული გადამუშავების დროს დაბალ ტექნიკურ-ეკონომიურ მაჩვენებლებს აფლენენ.

ეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემაა და დროულად გადაჭრას მოითხოვს, თორემ სახალხო მეურნეობა, კერძოდ, შავი მეტალურგია შემდგომ უფრო მეტი სიძნელის წინაშე აღმოჩნდება. დასამალავი როდია, რომ უკანასკნელ ხანს თანდათან მცირდება მანგანუმით მდიდარი მადნების მარაგი და სულ უფრო აქტუალური ხდება ღარიბი მადნების ეკონომიურად და ეფექტიანად გამოყენების საკითხი. თუ როგორ შეძლებენ ტექნოლოგიები ამ საკითხის დადებითად გადაჭრას, ამაზეა დამოკიდებული ჭიათურა-ზესტაფონის სამრეწველო კვანძის შემდგომი განვითარების ბედი.

აი რა თქვეს ამ საკითხთან დაკავშირებით „კომუნისტის“ კორესპონდენტთან ო. ნიკაბაძესთან საუბარში მანგანუმის მომპოვებელი და მომზმარებელი საწარმოების ხელმძღვანელებმა:

ვ. სულამანიძე — ჭიათურის მანგანუმის სამთამადნო კომბინატის დირექტორის მოადგილე:

— ჭიათურის საბადოს გაღარიბების ტენდენცია შეუმჩნეველი არ დარჩენიათ სპეციალისტებს. ჯერ კიდევ სამი ათეული წლის წინათ დაისვა საკითხი ღარიბი მადნების მეტალურგიაში გამოყენების შესახებ. დაიწყო კვლევა-ძიება კარბონატული და დაჟანგული მადნების მოპოვების, მათი გამდიდრების ტექნოლოგიის დადგენის, კონდიციური კონცენტრატების მიღების და მათი მეტალურგიული გადამუშავების შესწავლის მიზნით.

ამ პრობლემის გადაჭრისათვის სამთოელებთან ერთად დიდი მუშაობა გაწია ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანამ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამთო მექანიკისა და მეტალურგიის ინსტიტუტებმა, საქართველოს პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა, ქვეყნის სხვა კვლევითმა ცენტრებმა.

საკვლევი და საპროექტო სამუშაოების, საწარმოო ცდების შედეგად დადგინდა, რომ კარბონატული და დაჟანგული მადნებიდან შესაძლებელია მივიღოთ კონცენტრატები, რომლებიც აკმაყოფილებს მეტალურგია მოთხოვნებს სხვადასხვა ფეროშენადნობთა მისაღებად. საკითხის შესწავლას თან მოჰყვა პრაქტიკული რეალიზაციაც. ჭიათურაში აიგო კარბონატული და დაჟანგული მადნების გამამდიდრებელი ფაბრიკები.

ჭიათურის ლენინის ორდენოსან სამთამადნო კომბინატს გადასაწყვეტელი აქვს სხვა მნიშვნელოვანი პრობლემებიც. პირველ რიგში ის, რომ საბადო თანდათან ღარიბდება, მადნის მარაგი მცირდება, მაგრამ სამაგიეროდ მანგანუმის მადანზე მოთხოვნა სულ უფრო იზრდება. 1980 წლისათვის კომბინატმა 1.940 ათასი ტონა სასაქონლო კონცენტრატი უნდა გამოუშვას, რაც 6 პროცენტით მეტია, ვიდრე 1975 წელს. ამ დავალების შესრულებისათვის შემუშავებულია ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებათა კომპლექსი.

ხუთწლედში აშენდება და საექსპლოატაციოდ გადაეცემა წლიურად 1.300 ათასი ტონის წარმადობის ახალი ხიმძლავრეები. ღარიბი მადნების გამდიდრების ტექნოლოგიის სრულყოფისათვის გათვალისწინებულია გამამდიდრებელი ფაბრიკების რეკონსტრუქცია, წარმოებაში ინერგება წმენდითი კომპლექსები, გაუჯობესებული თანამედროვე სამთო მექანიზმები.

ხვალინდელ დღეზე ფიქრით

საბადო ულევი როდია

ინტერვიუ კონფერენციის მონაწილეებთან

ყვირილაზე ხეობაში მცხოვრებთა საუკუნოვანი ოცნება მდინარის წყლის გასუფთავება მანგანუმის გამდიდრების შედეგად დარჩენილი ეგრეთწოდებული „უდებისაგან“, და ამ თვალწარმტაცი ადგილების მშრომელთა დასვენების კერად გადაქცევა მეათე ხუთწლედში. პრობლემის გადაჭრის ეზეზე დიდი ნაბიჯი გადაიდგმება.

ერთი სიტყვით, სამთოელები ყველაფერს აკეთებენ და შეიძლება ითქვას, რომ პრობლემის ერთი ნაწილი გადაჭრილია. ახლა ჯერ მეტალურგებზეა. მათ მაღალხარისხოვან კონცენტრატებთან ერთად პროპორციულად უნდა მიიღონ და გადაამუშაონ დაგროვებული ღარიბი მადნებიც, რომლებიც მთების მსგავსად აღმართულა. ჭიათურაში დღეისთვის სულ მცირე, 2,5 მილიონ ტონა ასეთი მადანი ელოდება რეალიზაციას, მისი მოპოვების, გამოზიდვის და გამდიდრებისათვის ქვეყანამ მილიონობით მანეთი დახარჯა...

ა. ცქიტიშვილი — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის დირექტორი:

— დიდი პერსპექტივებია დასახული მეათე ხუთწლედში ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის წინაშე. მომავალში მთლიანად დამთავრდება არსებულ სადნობ საამქროებში სიმძლავრეთა გადიდების სამუშაოები.

მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ ხუთწლედში მაინც ვერ გადაწყდება დაბალი ხარისხის მანგანუმის კონცენტრატების მთლიანად გამოყენების საკითხი. საჭიროა დაჩქარდეს ღარიბი მადნების, განსაკუთრებით კარბონატული მადნების გადამუშავების ტექნოლოგიის სრულყოფა და საბოლოო რეკომენდაციების შემუშავება.

კარბონატულ მსხვილფრაქციულ ჭიათურა-ზესტაფონის სამრეწველო კვანძს რეგიონალური ფაქტორებით ქვეყნის სახალხო მეურნეობაში ინდივიდუალური სახე აქვს. სანედლეულო და გადამამუშავებელი მრეწველობის ასეთი სიახლოვე, მოხერხებული სატრანსპორტო კავშირი, კვანძის ტერიტორიის მჭიდრო დასახლება, საწარმოო პერსონალის კონცენტრაციის მაღალი დონე კარგ პირობებს ქმნის აქ დასახული პრობლემების აუცილებელი გადაჭრისათვის.

ჩანაფიქრი ხორცს ისხამს

სიახლე დროულად უნდა დაინერგოს

ჩვენი ინსტიტუტის კაზმის მომზადების პრობლემური ლაბორატორიის ბეგინერ მუშაკებს მჭიდრო თანამშრომლობა აქვთ ზესტაფონელ მეტალურგებთან. ხანგრძლივი ერთობლივი ძიების შედეგად ბევრი სიახლე დაინერგეთ წარმოებაში და უზრუნველყავით ტექნოლოგიური ხერხების ეფექტიანობა, ეკონომიკა, ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების ამაღლება.

ცხოვრებამ დღის წესრიგში დააყენა ჭიათურის ღარიბი მადნების წარმოებაში მასობრივი გამოყენების აუცილებლობა და ამ პრობლემის გადაწყვეტასაც ერთობლივად მოვკიდეთ ხელი მეცნიერებმა, პრაქტიკოსებმა. მრავალმხრივმა ცდებმა ნაყოფი გამოიღო. დამუშავებულია სრულყოფილი ტექნოლოგია ჭიათურის ღარიბი მანგანუმის მადნებიდან სილიკომანგანუმის მიღებისათვის.

მთელი ეს ტექნოლოგიური პროცესი მარტივად მიმდინარეობს. მზადდება ღარიბი მადნის ნახშირის ბრიკეტი, რომელიც თერმულად არ მუშავდება და ნედლი სახით მიეწოდება სადნობ ღუმელს. **ნახევრად საწარმოო ცდებმა გვიჩვენა, რომ ამ მეთოდით ჭიათურის საბადოს ყველა სახეობის ღარიბი მადნისაგან ერთჯერადი გადამუშავებით შეიძლება სტანდარტული სილიკომანგანუმის მიღება.** ახლა დღის წესრიგში დგას სამრეწველო მასშტაბის ცდების ჩატარება და სიახლის პრაქტიკული დანერგვა წარმოებაში.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია კარბონატული მადნებისაგან სილიკომანგანუმის, გამოდნობის სრულიად ახალი ტექნოლოგიის შემუშავება.

კარბონატული მაღალი წინასწარ მოიწვება 900 გრადუს ტემპერატურაზე, შემდეგ კი დამზადდება მადან-ნახშირის ბრიკეტები. ასეთი კაზმით გამოდნობილი სილიკომანგანუმი მაღალი მარკისაა, საუკეთესო ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და გაცილებით დაბალი თვითღირებულება აქვს, ვიდრე მდიდარი მანგანუმის მადნებიდან მიღებულ პროდუქციას.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში დაგეგმილია საკმაოდ დიდი ოდენობით სილიკომანგანუმის გამოდნობა, ხოლო ჭიათურის საბადოს აუზში კარბონატული მადნების საკაზმე პრობლემად იქცა, მაშინ ცხადი გახდება შემუშავებული ახალი ტექნოლოგიის უდიდესი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა.

ზესტაფონელმა მეტალურგებმა აუცილებლად უნდა დანერგონ წარმოებაში მოღწეული ტექნოლოგიური სიახლე, რითაც დაეჩქარებენ დასახული პრობლემის დროულ გადაჭრას.

ს. მაზმიშვილი,

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტი,

ზ. კაპანაძე,

ამავე ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

ჩვენი პასუხისმგებლობა

პრობლემის გაძლაჭრა უნდა დაჩქარდეს

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა ელექტროენერგიის უდიდესი მომხმარებელია. ბუნებრივია, სადნობ ღუმელებში ელექტრონეიტის რეგულირება დიდ ეკონომიკურ ეფექტს აძლევს თვით წარმოებას, ამასთან დადებითს გავლენას ახდენს მთლიანად საქართველოს ენერგოსისტემაზე.

წამოჭრილი პრობლემა მანგანუმის ღარიბი მადნების ტექნოლოგიაში დანერგვა—ამ თვალსაზრისითაც საინტერესოა. მეტალურგიის ინსტიტუტში წარმოებული მრავალწლიანი ცდებით შესწავლილია ღარიბი მანგანუმის მადნების მინერალური, თერმოგრავიფული და ელექტროწინაღობის მონაცემები.

ანალიზები ცხადყოფს, რომ კონცენტრატების ქიმიური და მინერალური შემადგენლობა განსაზღვრავს მათ ელექტროწინაღობას. დადგენილია, რომ ყველაზე დიდი ელექტროწინაღობა აქვს კარბონატულ და მეოთხე ხარისხის კონცენტრატებს, ხოლო ყველაზე მცირე წინაღობით ხასიათდება პირველი ხარისხის კონცენტრატი.

მანგანუმის კონცენტრატების მეტალურგიული დახასიათებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს მანგანუმის და ფოსფორის პროცენტულ თანაფარდობას მადანში. ეს მაჩვენებელი, რა თქმა უნდა, მაღალი მდიდარ კონცენტრატებში, მაგრამ პიროლუზიტის შემცველობის გამო ისინი ელექტროტექნიკური თვალსაზრისით ნაკლებად ხელსაყრელია.

მაღალი ელექტროწინაღობით ხასიათდება ღარიბი და კარბონატული მადნები. ამის გამო სასურველია მათი შერევა მდიდარ კონცენტრატებთან კაზმის ელექტროწინაღობის გაზრდის თვალსაზრისით. ეს არა მარტო გაიუჯობესებს ღუმელების ელექტრულ რეჟიმს, არამედ პრაქტიკულად გადაწყდება წარმოებაში მათი დიდი ოდენობით გამოყენების საკითხი.

გარდა ამისა ღარიბი მანგანუმის საპროექტო ინსტიტუტის ექსპერიმენტი სუფთა მეტალური მანგანუმის უხვნილის და მისი შენადნობების მისაღებად.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არაორგანულმა და ელექტროქიმიის ინსტიტუტებმა, რუსთავის ქიმიურმა და ჭიათურის მანგანუმის კომბინატებმა შეიხწავლონ 0-1 მილიმეტრის ფრაქციის 34-35 პროცენტი მანგანუმის შემცველობის უანგეული ფლოტოკონცენტრატის გამოყენების საკითხი ელექტროლიტური მანგანუმის ორანგის მისაღებად.

ფეროშენადნობთა ქარხანამ გააგრძელოს მანგანუმის ღარიბი მადნების და ტყიბულის სუსტადცხობადი ნახშირების გამოყენებაზე ელექტროლიტური მანგანუმის ფხვნილის და მისი შენადნობების მისაღებად.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ორგანულმა ქიმიურმა და ჭიათურის მანგანუმის კომბინატებმა შეიმუშავონ კარბონატული და ანგეულიანი მადნების შლამების გამდიდრების შესაძლებლობანი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტმა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის პრობლემურმა ლაბორატორიამ გააფართოოს მანგანუმის ღარიბი მადნების და შლამების მეტალურგიული დამუშავების პალოგენური პროცესის სამეცნიერო-საწარმოო ექსპერიმენტი სუფთა მეტალური მანგანუმის ფხვნილის და მისი შენადნობების მისაღებად.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ორგანულმა და ელექტროქიმიის ინსტიტუტებმა, რუსთავის ქიმიურმა და ჭიათურის მანგანუმის კომბინატებმა შეიხწავლონ 0-1 მილიმეტრის ფრაქციის 34-35 პროცენტი მანგანუმის შემცველობის უანგეული ფლოტოკონცენტრატის გამოყენების საკითხი ელექტროლიტური მანგანუმის ორანგის მისაღებად.

ფეროშენადნობთა ქარხანამ გააგრძელოს მანგანუმის ღარიბი მადნების და ტყიბულის სუსტადცხობადი ნახშირების გამოყენებაზე ელექტროლიტური მანგანუმის ფხვნილის და მისი შენადნობების მისაღებად.

კონფერენციაზე გადაწყვიტეს:

გაფართოვდეს სხვადასხვა სახეობის მანგანუმის მადნების, წარმოების ნარჩენების გამდიდრების და მეტალურგიული გადამუშავების რაციონალურ-ტექნიკური სქემების შექმნის მეცნიერულ-კვლევითი სამუშაოები; ეთხოვოს რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას დახმარება გაგვიწიოს 5-15 და 0,5 მილიმეტრიანი ფრაქციის 10 ათასი ტონა ვრავიტაციულ-კარბონატული მანგანუმის კონცენტრატის გამოწვაში.

გაგრძელდეს მეოთხე ხარისხის მანგანუმის კონცენტრატებისაგან მაღალპროცენტიანი სილიკომანგანუმის მიღების სამუშაოები იმ ტექნოლოგიით, რომელიც შემუშავებულია ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში.

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კაზმის მომზადების პრობლემურმა ლაბორატორიამ და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანამ დაიჩქაროონ მადანნახშირიანი ბრიკეტებისაგან სილიკომანგანუმის გამოდნობის სამრეწველო გამოცდა.

წინადადება მიეცეს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას და ჭიათურის მანგანუმის კომბინატს დაიჩქარონ აღნიშნული მეთოდის დამუშავების სამუშაოები და ელექტროქიმიური გამდიდრების პროდუქტის — მანგანუმის უანგის ჰიდრატის ხმარება დაბალფრაქციული მანგანუმიანი მასალების მტვრისა და ღარიბი მადნების დასანაგროვებლად.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის, ელექტროქიმიის ინსტიტუტებმა განაზოგადონ მანგანუმის მადნის გამდიდრების ქიმიური მეთოდის მასალები ეკონომიკისა და გარემოს დაცვის გათვალისწინებით.

ჭიათურის მანგანუმის სამთამადნო კომბინატმა შეიმუშაოს კარბონატული და უანგეულიანი მადნების შლამების გამდიდრების შესაძლებლობანი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტმა, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანამ ჩაატარონ ნახშირბადიანი ფერომანგანუმის საცდელ-სამრეწველო დნობები წიდაში ჭიათურის დაბალსილიციუმიანი კარბონატული მანგანუმის კონცენტრატის გამოყენებით.

ბოლოს ეროვნული ეკონომიკის ინტენსიფიკაციის, ეფექტიანობის ამაღლების, ეკონომიკურ-ეკოლოგიური ბალანსის, ბუნებრივი რესურსების ეფექტიანი გამოყენების,

გაანვაახორციელოთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის XVIII და 1977 წლის V პლენუმების გადაწყვეტილებანი!

გავაძლიეროთ მეცხოველეობის პროდუქტების შესყიდვის ტემპი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეხუთე პლენუმმა კიდევ ერთხელ მიაპყრო რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების მშრომელთა ყურადღება მეცხოველეობის დაჩქარებული განვითარების პრობლემას. უზრუნველყოთ ხორცის, რძისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების მნიშვნელოვანი ზრდა, გავაუმჯობესოთ ამ პროდუქტებით ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მოსახლეობის მომარაგება, სოფლის მშრომელებისათვის მათი მიწოდება ადგილობრივი წარმოების ხარჯზე, ასეთი ამოცანა დაგვისახეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის XVIII და 1977 წლის V პლენუმებმა, ასე განსაზღვრა ფერმების მუშაკთა როლი და მიზნები სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა წერილში სოფლის მეურნეობის, საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელისადმი.

რესპუბლიკის მეცხოველეები, რომლებმაც მაღალი სოციალისტური ვალდებულებანი იკისრეს ხაოუბლეო წლისათვის, საქმით უპასუხებენ პარტიის ამ მოწოდებას.

ახლა, როცა ფერმებსა და მეცხოველეობის კომპლექსებში გამოზამთრების ყველაზე უფრო ძნელი და პასუხსაგები პერიოდი ახლოვდება, დიდი ოსტატობა, შეუპოვრობა, მარჯვე მუშაობა მართებთ დარგის მუშაკებს, რათა, არ დაუშვან პირუტყვის ჩაბარებულობის შემცირება, მთლიანად შეინარჩუნონ მოზარდეული, სრულად გაანაღდონ სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლის ჩაბარების წლიური ვალდებულებები და გეგმები.

დღეს გამოქვეყნებული ცხრილი ახასიათებს, თუ როგორ მიმდინარეობს რესპუბლიკის მეცხოველეთა სოციალისტური შეჯიბრება მეცხოველეობის პროდუქტების შესყიდვაში. ნაჩვენებია აგრეთვე მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საშუალო ჩასაბარებელი წონა იმ დავალებასთან შედარებით, რომელიც განსაზღვრულია 1976 წლისათვის რაიონების მიხედვით (მეცხოველეთა ვალდებულებანი მიმდინარე წლისათვის ითვალისწინებენ პირუტყვის ჩაბარებას, რომლის საშუალო წონა 260 კილოგრამზე ნაკლები არ უნდა იყოს).

რაიონები, ავტონომიური რესპუბლიკები და ოლქი	პირუტყვი და ფრინველი				რძე		კვერცხი		მატყლი
	პირუტყვის ყველა სახეობის მეურნეობის პრიზი		საზოგადოებრივ მეურნეობებში ჩასაბარებელი დავალება		I კვ. შეს. პრიზი	1976 წ. შედ.	I კვ. ბოლის შეს. პრიზი	1976 წ. შედ.	1976 წ. შედეგები
	საზოგადოებრივი მეურნეობები	მესაქონლეობა	ფაფუტება	ფაფუტ.					
ახალქალაქის	75	40	286	289	56	103	—	240	—
გოგდანოვკის	58	31	281	292	55	105	—	—	71
ახალციხის	48	36	240	249	51	102	84	79	—
ადიბენის	60	34	250	228	46	96	—	—	—
ასპინძის	69	63	245	243	25	65	58	102	200
ხაშურის	75	65	345	258	61	105	71	101	—
ქარელის	80	18	250	208	55	105	108	191	—
გორის	74	18	260	296	54	95	61	92	—
კასპის	71	21	240	246	56	108	51	120	10
ბორჯომის	85	39	245	231	48	100	—	—	—
საბანაჯოს	75	28	250	253	53	100	45	68	3-ჯერ
ბურჯაანის	53	8	310	282	66	124	54	72	112
სიღნაღის	62	6	260	292	64	108	17	32	—
წითელწყაროს	67	33	290	313	67	112	46	78	8-ჯერ
თელავის	47	9	245	271	59	100	57	143	—
ახმეტის	45	9	240	225	64	104	—	—	30
ყვარლის	96	1	280	286	51	87	36	52	158
ლაგოდეხის	50	3	265	276	56	96	31	80	—
გარდაბნის	52	41	255	266	61	112	65	96	14-ჯერ
მცხეთის	72	32	240	301	57	108	65	157	—
მარნეულის	94	34	255	325	58	102	—	—	—
გოლენისის	56	51	270	286	59	102	64	92	—
წალკის	84	37	240	242	53	100	—	—	120
დუშეთის	43	10	210	201	62	113	4-ჯერ	131	3-ჯერ
თეთრი წყაროს	51	31	240	245	62	106	73	77	67
დმანისის	72	25	260	271	52	93	—	—	95
თიანეთის	63	30	220	274	59	108	119	365	22
ქაზბეგის	—	—	—	—	—	—	—	—	133
სამხრეთ ოსეთის ა. ო.	72	48	225	193	60	101	77	11-ჯერ	15
წყალტუბო	91	58	240	244	69	118	85	165	—
სამტრედიის	47	49	250	274	59	106	55	93	—
ფოთის	73	37	245	239	59	105	23	127	—
ვანის	88	79	260	230	62	101	61	143	—
მაიაკოვსკის	127	40	250	218	66	103	—	—	—
ზესტაფონის	79	37	230	198	66	105	—	—	—
თერჯოლის	61	51	220	188	71	129	78	116	67
ქალაქი ჭიათურა	90	96	210	208	60	108	—	—	—
საჩხერე	72	52	220	224	69	114	66	84	—
ორჯონიკიძის	56	94	230	207	61	105	—	—	—
ქალაქი ტყიბული	86	51	210	194	52	103	69	117	—
ონის	88	8	220	216	50	130	110	293	—
ამბროლაურის	97	33	240	213	57	157	52	92	—
ცაგერის	81	26	245	226	78	129	121	329	—
ლენტეხის	70	60	240	239	200	13-ჯერ	—	—	—
აბაშის	73	36	240	262	57	114	—	—	—
ცხაკაიის	71	52	230	223	61	121	124	306	—
გეგეჭკორის	112	48	225	244	65	115	—	—	—
ზუგდიდის	62	45	270	309	70	124	61	123	—
ხობის	67	72	240	167	59	113	—	—	—
წალენჯიხის	90	69	255	249	65	156	37	129	—
ჩხოროწყუს	87	82	240	242	67	119	161	185	—
მახარაძის	98	37	260	266	70	125	39	159	—
ლანჩხუთის	84	34	250	238	48	85	76	140	—
ჩოხატაურის	74	38	220	183	71	120	—	5-ჯერ	—
მესტიის	—	127	—	—	85	227	—	—	—
ქალაქ ფოთის	—	64	—	—	—	—	—	—	—
აფხაზეთის ასსრ	73	30	230	227	65	125	64	102	—
აჭარის ასსრ	67	41	220	194	64	122	67	112	—
სულ	66	41	250	250	59	108	61	96	153

მოყვანილი მონაცემების ანალიზი მოწმობს, რომ საკმაოდ გაძლიერდეს პირუტყვისა და ფრინველის სახელმწიფო იესყიდვის ტემპი. თუ ამსოლუტურ ციფრებს მივმართავთ, ვნახავთ: იმ დროს, როცა კვარტალური დავალებით გათვალისწინებულია 31,3 ათასი ტონა, პირველ ორ თვეში რეალიზებულია 16,4 ათასი ტონა ანუ 53 პროცენტი, მაშინ როცა სახელმწიფოს უნდა მიეღო დავალებით გათვალისწინებული გეგმის სულ ცოტა ორი მესამედი, ესე იგი 20,7 ათასი ტონა.

საზოგადოებრივ მეურნეობათა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის დაწესებულ დავალებას არ ჩამოორჩებიან. კოლმეურნეობებს კვარტალური პროგრამა შესრულებული აქვთ 67 პროცენტით, ხოლო სახელმწიფო მეურნეობებს — 65 პროცენტით. სამაგიეროდ, ქოსალეობაში შესყიდულია დავალების 41 პროცენტი, ანუ დავალებაზე 2,7 ათასი ტონით ნაკლები.

რამდენადმე გაიზარდა ჩასაბარებელი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის წონა, თუმცა, მთლიანად რესპუბლიკაში კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ვერ გასულან ვალდებულებათა მიჯნაზე. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აჭარის ასს რესპუბლიკა, ხობის, ჩიხატაურის, ზესტაფონის, თერჯოლის რაიონები, ქალაქ ტყიბულის ზონა კი ისევ აბარებენ ნაკლები წონის პირუტყვს, რომ შარშანდელი დავალების დონისთვისაც ვერ მიუღწევიათ.

თუმცა გასული წლის დამდეგთან შედარებით რძის შესყიდვის მოცულობის ზრდის ტემპი ურიგო არ არის, მაგრამ რესპუბლიკა მაინც ვერ ასრულებს ორი თვის პროგრამას. აქ განსხვავება დაახლოებით 4 ათას ტონას შეადგენს. მისი დარღვევისთვის ძირითადად უნდა ვუსაყვედუროთ ადიგენის, ასპინძის, გორის, ყვარლის, ლაგოდეხის, დმანისის, ლანჩხუთის რაიონების მეურნეობებს, რომლებმაც არათუ ვერ უზრუნველყვეს კვარტალური გეგმის შესრულება, არამედ შარშანდელზე გაცილებით ნაკლები რძეც კი დაამზადეს.

ვერც რესპუბლიკის მეფრინველეები ასწრებენ ორი თვის პროგრამის შესრულებას. 1 მარტისათვის ჰქონდათ 5 მილიონი კვერცხის დეფიციტი და გასული წლის დონეს 2 მილიონი ცალით ჩამოორჩებოდნენ. შარშანდელზე უარესად მუშაობენ ახალციხის, გორის, საგარეჯოს, გურჯაანის, სიღნაღის, წითელწყაროს, ყვარლის, ლაგოდეხის, გარდაბნის, ბოლნისის, თეთრი წყაროს, სამტრედიის, ხაჩხერის, ამბროლაურის რაიონების მეფრინველეობის მეურნეობები.

პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოები მოვალენი არიან პირველი კვარტალის დამლევამდე ამ დარჩენილ დღეებში გაახორციელონ გადამწყვეტი ღონისძიებანი, რათა შეასრულონ არა მარტო გეგმები, არამედ ვალდებულებებიც. სწორედ ეს არის საბჭოთა სახელმწიფოს 60 წლისთავის აღსანიშნავი წლის მთავარი ამოცანა. (საინფორმ).

ინფორმაცია

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია

სიღნაღი. (საკ. კორ.). საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომმა და საზოგადოება „ცოდნის“ რაიონულმა ორგანიზაციამ მოაწყეს პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული აქტივის სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ხუთი წლისთავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის 22 თებერვლის დადგენილებიდან — სკკპ XXIV კრების გადაწყვეტილებათა შესასრულებლად თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ.

თეორიულ-პრაქტიკულ კონფერენციაზე წაკითხული ლექციებიდან, მოხსენებებით პარტიის რაიკომისა და საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორები წარსდგებიან ფართო მსმენელთა წინაშე ოლქმეურნეობებში, საწარმო-დაწესებულებებში.

□

მდივანი ანგარიშს აბარებს

გეგეჭკორი. (საკ. კორ.). პარტიის რაიკომის ბიურომ მოისმინა და განიხილა სოფელ დიდი ჭყონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის ბიუროს მდივნის ბ. ოყუჯავას ანგარიში იმის შესახებ, თუ როგორ ხელმძღვანელობს და ეხმარება ბიურო სახალხო კონტროლის ჯგუფებსა და საგუშაგოებს ლატვიის სს რესპუბლიკაში სახალხო კონტროლის ორგანოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობიდან დადგენილების მოთხოვნათა მიხედვით.

ბიუროზე აღინიშნა, რომ პარტორგანიზაციის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების შედეგიც არის, რომ კოლმეურნეობის მშრომელები მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ ხეთწლედის დავალებათა შესრულებაში, რაშიც წვლილი შეაქვთ კონტროლის ჯგუფებსა და საგუშაგოებს. სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრები აქტიურად მონაწილეობდნენ საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მზადებაში.

ბიურომ იმსჯელა ნაკლოვანებებზეც, დასახა მათი გამოსწორების კონკრეტული გზები.

□

ჯანმრთელობის დაცვის ახალი უნივერსიტეტი

ჰიათურა. (საქინფორმ კორ.). პარტიის საქალაქო კომიტეტში გაიხსნა ჯანმრთელობის დაცვის სახალხო უნივერსიტეტი, რომლის მსმენელია ქალაქის საწარმოებისა და დაწესებულებების 120 მუშა და მოსამსახურე.

გაიმართა უნივერსიტეტის პირველი მეცადინეობა, რომელზეც მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა გ. ზაბახიძემ, ქალაქის საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა ჯ. კერცხალიამ და ექიმმა ვ. კალანდაძემ წაიკითხეს ლექციები: „ადამიანის ანატომიის საფუძვლები“, „საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვისა და მედიცინის მიღწევები“, „პირადი ჰიგიენა და მისი როლი ჯანმრთელობის განმტკიცებაში“.

□

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 11 მარტის ბრძანებულებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამადლო სიგელით დაჯილდოდნენ:

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორი ლეონარდ ლეონარდის-ძე **დეკანაზე ლეონიძე,** — ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო პედაგოგიური და საზოგადო მოღვაწეობისათვის, დაბადების ოცდამოცდაათ წელთან დაკავშირებით.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორი ათინოგენ **ჯამბულათის-ძე მენაღარიშვილი,** — ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადო მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდათხუთმეტ წელთან დაკავშირებით.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი ოთარ მიხეილის-ძე **ბაკურაძე,** ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით.

პერსონალური პენსიონერი ამხ. მიხეილ თომას-ძე **თოდრაძე.** — თეზის მრეწველობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, — დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით.

ამხ. პავლე ალექსანდრეს-ძე **ორჯონიკიძე,** — გარდაბნის რაიონის სამგორის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, — საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცწელთან დაკავშირებით.

ინფორმაცია

მსოფლიოს ამბები

ფაქტები • პროგნოზები • ბიოგრაფიები

პრესის მოჩვენებითი თავისუფლება

კაირო. (საკდესი). როგორც ცნობილია, ამ დღეებში გამოაცხადეს ყოველთვიური ჟურნალის „ათ-თალიის“ მთავარი რედაქტორის თანამდებობიდან ცნობილი ეგვიპტელი ჟურნალისტის ლუტფი ელ-ხოლის განთავისუფლების შესახებ. ამ ჟურნალს სცემს „ალ-ახრამის“ გამომცემლობა. ეგვიპტის დედაქალაქის პოლიტიკურ წრეებში ეს მოვლენა შეიფასეს, როგორც ხელისუფალთა უკმაყოფილების შედეგი იმის გამო, რომ „ათ-თალია“ კრიტიკულ წერილებს ბეჭდავდა უკანასკნელი წლების ეგვიპტის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად საკითხებზე.

გამოხატავდა რა მემარცხენე ძალთა აზრს, „ათ-თალიას“ არა ერთხელ მკაცრად გაუკრიტიკებია ეგვიპტის „ღია კარისა და ეკონომიკური ლიბერალიზაციის“ პოლიტიკა. ეგვიპტის პრესაში განსაკუთრებით აღვირახსნილი ანტისაბჭოთა კამპანიის დროს ჟურნალი მსარს უჭერდა ეგვიპტე-საბჭოთა კავშირის მეგობრობის განვითარებას, აშკარა უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ეგვიპტემ ცალმხრივად დაარღვია შეთანხმება სსრ კავშირთან მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ.

მართალია „ათ-თალია“ უშუალოდ არის დაკავშირებული „ალ-ახრამის“ გამომცემლობასთან, სადაც გამოდის ამავე სახელწოდების გაზეთი, რომელიც მთავრობის ოფიციოზად ითვლება, მაგრამ ტრადიციისამებრ მემარცხენე ჟურნალის შემოქმედებითი ავტონომია ჰქონდა, რომელიც საშუალებას აძლევდა საკუთარი თვალსაზრისით გაეშუქებინა დიდმნიშვნელოვანი მოკლენები.

„პრესის თავისუფლების“ ლოზუნგის გამოცხადების შემდეგ ხელისუფლები გარკვეულ დრომდე ეგუებოდნენ „ათ-თალიის“ გაბედულ და საჭირბოროტო კრიტიკულ მასალებს და ფარავდნენ ამ გამოსვლებით გამოწვეულ გაღიზიანებას. როგორც აქ მიაჩნიათ, პრესის საქმეებისათვის პასუხისმგებელი პირები წონასწორობიდან გამოიყვანა „ათ-თალიის“ თებერვლის ნომერმა, უფრო ზუსტად, მისმა მოწინავე სტატიამ, რომელიც გამოაქვეყნა ლუტფი ელ-ხოლიმ. სტატია მიეძღვნა 18-19 იანვარს მთელს ეგვიპტეში გამართულ მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლებს. ავტორმა დამაჯერებლად გამოაშკარავა მთავრობისა და ოფიციალური პრობაგანდის უმეორო ცდები თავიდან აეცილებინათ პასუხისმგებლობა იანვრის ამბებისათვის, ცხადყო, რომ მთავრობა ცდილობს სახალხო მღელვარება გამოიყენოს მემარცხენე ძალების ჩახშობის საბაბად. გარდა ამისა, „ათ-თალიის“ მთავარი რედაქტორი არ ეთანხმებოდა იმას, რომ ცენტრის მმართველი პარტია აკონტროლებს მემარცხენე ძალების ერთადერთ ყოველთვიურ ჟურნალს.

ამის პასუხად ლუტფი ელ-ხოლი გაანთავისუფლეს მთავარი რედაქტორის მოვალეობიდან.

ჩილეს ხუნტის იზოლაცია

ბუენოს-აირესი. (საკდესი). ჩილეს სამხედრო-ფაშისტურმა ხუნტამ გამოსცა დეკრეტი, რომლის შესაბამისად ქვეყანაში საქმიანობა ეკრძალება ყველა პოლიტიკურ პარტიას, მათ შორის ქრისტიანულ-დემოკრატიულ, ეროვნულ და ჩილეს სოციალ-დემოკრატიულ პარტიებს, რომელთა მოქმედება 1973 წლის სამხედრო ამბოხების შემდეგ ფორმალურად არ აკრძალულა, მაგრამ „შეჩერებული იყო“. ეს დეკრეტი გამოიცა მას შემდეგ, რაც ხუნტამ კიდევ ექვსი თვით გაიგრძელა საარყო წესები ქვეყანაში. ეს საშუალებას აძლევს ბრალდების წამოუყენებლად და სასამართლო გადაწყვეტილების მიღებლად ციხეებში ჰყავდეს ადამიანები.

სალყო წესებს ჩილეში ეჭვს თვეში ერთხელ აგრძელებენ.

ყველა პოლიტიკური პარტიის აკრძალვის სბაბი გახდა ახლანდელი რეჟიმის წინააღმდეგ „შეთქმულების“ გამომძიებელება, რომელს ორგანიზატორები თითქოს ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის თვალსაჩინო მოღვაწენი იყვნენ.

ფაშისტური ხუნტის მანევრება ყოველგვარ „შეთქმულ ებათა“ „მხილებაში“, აგრეთვე აიერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი დაპირისპირება ადასტურებს როგორც რეჟიმის მერყევ პოზიციებს ქვეყნის შიგნით, ისე მის უდიდეს იზოლაციას საერთაშორისო ასპარეზზე.

უნუგეშო პროგნოზები

„საერთო ბაზრის“ წევრ ქვეყნებს ზორის ძლიერდება ეკონომიკური ფინანსალდგომანი

□

ბრიუსელი. (საკდესი). 1977 წელს „საერთო ბაზრის“ წევრ ქვეყნებში ეკონომიკის ალმავლობის შანსები საეჭვოა — ასეთი დასკვნამდე მივიდა ევროპის გაერთიანებათა კომისია.

„ცხრეულის“ ეკონომიკური პერსპექტივებისადმი მიძღვნილ ცნობაში, რომელიც აქ გაავრცელა კომისიამ, ისიც კი საეჭვოდ არის მიჩნეული, რომ „საერთო ბაზრის“ წევრ ქვეყნებში თუნდაც რამდენადმე შენელდეს ინფლაციის ახლანდელი ტემპი, რომელიც წელიწადში 10 პროცენტს შეადგენს.

კომისიის იქსპერტთა აზრით ავრეთვე, ეკონომიკური ზრდის ტემპი წელს შარშანდელზე გაცილებით ნაკლები იქნება. ამავე დროს, კომისიის მონაცემებით, უმუშევრობა განიწყვეტლივ გაზრდება მთელი 1977 წლის განმავლობაში.

როგორც ადგილობრივი ეკონომიკური მიმომიოლველნი ფიქრობენ, ეს დასკვნები იმ მტკიცებას ჰგავს, რომ 1977 წელს კულავ ინფლიტურად დიდი იქნება კრიზისი, რომელსაც „ცხრეულის“ მრეწველობა განიცდის.

ევროპის გაერთიანებათა კომისიას მიაჩნია, რომ დასავლეთ ევროპის ეკონომიკაში „ყველაზე საშიშ მოვლენაა „საერთო ბაზრის“ წევრი ქვეყნების განვითარების დონეთა სულ უფრო დიდი განსხვავება. ეს აძლიერებს დაჯგუფების პარტნიორთა ეკონომიკურ წინააღმდეგობებს.

შრომა და კაპიტალი

ამსტერდამელ დოკერთა გაფიცვა

ნიდერლანდის ჭი ათასზე მეტი მუშა და მოსამსახურე მონაწილეობს ამ დღეებში გამართულ გაფიცვებში. ახლანდელი საგაფიცვო მოძრაობა გამოწვეულია მშრომელთა მზარდი უკმაყოფილებით მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის გამო. ქვეყანაში იზრდება უმუშევართა არმია, რომელიც უკვე ერთ მეოთხედ მილიონზე მეტს აღწევს. შარშან მთავრობამ ხელფასი „გაყინა“ და მეწარმეებს ფართო მოხმარების საქონლის ფასის მომატების დარგში მოქმედების სრული თავისუფლება მისცა. ადგილობრივი პრესის მონაცემები მოწმობს აგრეთვე მეპატრონეთა თვითნებობას მუშათა მიმართ, დისკრიმინაციას შრომის ანაზღაურებაში, არასასურველ მუშათა დათხოვნაში, იმიგრანტთა შევიწროებაში. ამიტომაც ნიდერლანდის მშრომელები, თავიანთ ინტერესებს რომ იცავენ, სულ უფრო გადაჭრით მოითხოვენ ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის უზრუნველყოფას.

იუპი-საკდესის ფოტო.

ინსრაელი და ადამიანის უფლებები

უუფლებობისა და ძალადობის სამყაროში

ვინ სახელი და გვარია ჯამილ აბუ შარია. იგი 22 წლისაა. პალესტინელია. აღმოსავლეთ იერუსალიმში მუშაობს. ისრაელის პოლიციამ იგი ანტიისრაელური დემონსტრაციაში მონაწილეობის საბაბით დაპატიმრა. საპოლიციო უბანში მას მთელი ღამის განმავლობაში ჯოხით სცემდნენ. „ჯერ თავში მუშტები და ჯოხი დამიშინეს, — ყვება დაზარალებული, — ერთი ჯოხი თავზეც კი დადამატეხეს. შემდეგ მიბრძანეს ტანთ გამეხადა, ცივი წყალი დადამასხეს და მაიძულეს თავსხმა წვიმაში ქუჩაში დავწოლილიყავი. მუცლის ქვედა ნაწილში ჯოხს გამეტებით მირტყამდნენ“...

ჯამილი ერთი კვირის შემდეგ გაათავისუფლეს „საეჭვოების ეკონომიკის გამო“. რეპრესიების შიშით იერუსალიმელმა ხუთმა არაბმა ექიმმა უარი თქვა სამედიცინო მოწმობის გაცემაზე, სადაც უბრალოდ უნდა აღწერილიყო მისი თვალის მდგომარეობა: შიდა სისხლის ჩაქცევები და ცემის შედეგად რქოვანას დაზიანება. ბოლოს და ბოლოს მან მიიღო ცნობა, სადაც დასახიჩრება გამმარტებული იყო როგორც „ტრავმის შესაძლო შედეგი“.

ჯამილ აბუ შარია ისრაელის სოციუპაციო ხელისუფლების თვითნებობის ერთადერთი მაგალითი როდია. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ მან შედარებით იოლად დაიღწია თავი...

მუჰამედ აბუ გარბია 30 წლისაა. მუშა და პროფკავშირული აქტივისტი აღმოსავლეთ იერუსალიმში ბრალდების წაყენებულად დაპატიმრეს 1974 წლის 30 აპრილს და გაუსამართლებლად საპყრობილეში იჯდა 1976 წლის 5 იანვრამდე. მან მოუთხრო ჟურნალისტებს, რომ სამი თვის მანძილზე განუწყვეტლივ აწამებდნენ. მუჰამედის ადვოკატმა, ისრაელის კომუნისტური პარტიის წევრმა ფელიცია ლანგერმა (ამას წინათ ხელისუფლებამ მას ადვოკატობის უფლება წაართვა დაპატიმრებულ არაბ მცხოვრებთა პრინციპული დაცვისათვის) ვერ მიაღწია აბუ გარბიას დაპატიმრების ნამდვილი მიზეზების გამოძიებას.

თავისი ქმრის ამბავს ჰყვება აგრეთვე უსაფუძვლოდ დაპატიმრებული და გაუსამართლებლად კატორღაში გაგზავნილი არაბ ჰასან პარბის ცოლი. მან ქმარი დაპატიმრებიდან ორი დღის შემდეგ ნახა საპყრობილეში. „იგი სულაც არ ჰგავდა თავის თავს, — ამბობს ქალი, — იგი მოხუცივით მოძრაობდა, ხელები უკანკალებდა, თვალები ჩაშავებოდა. თავზე ტომარას აცვამდნენ და ისე სცემდნენ, საპატიმრის ექიმმა განაცხადა, პატიმარი თავს იკატუნებსო“...

აი მხოლოდ სამი მაგალითი, რომელთა მიღმა ასობით პალესტინელ პატიმართა ტრაგედია იმალება. და მათი მთელი დანაშაული ის არის, რომ პროტესტს გამოთქვამენ ისრაელის სამხედრო ოკუპაციის საძულველი რეჟიმის წინააღმდეგ. ისინი იმ რეჟიმის მსხვერპლნი არიან, რომელიც მთელი ხმით გაპაჰერის ეთერში სოციალისტურ ქვეყნებში ადამიანის უფლებათა მიჩენებითი დარღვევის შესახებ და ამავე დროს დილეგებში ყრის არასრულწლოვან ბავშვებსაც კი ოკუპაციის წინააღმდეგ საპრეტესტო დემონსტრაციებში მონაწილეობისათვის, ცხობილია, რომ ისრაელის სამხედრო სასამართლებს მიეცემული აქვთ არასრულწლოვანთა და მცირეწლოვანთა გასამართლების უფლება. დაპატიმრებულთ განუსაზღვრელი ვადით ათავსებენ საპყრობილეში რაიმე ბრალდების წაუყენებლად, სცემენ, აწამებენ. ბევრ არაბს დაპატიმრების მომენტში აბუჩად იგდებენ საკუთარ სახლში (ოლებისა და შვილების თანდასწრებით).

არაბების მიმართ ტელ-ავივის მტრულ პოლიტიკას შორსგაფრენილი ფესვები აქვს და სიონისტურ დოგმებს ეყრდნობა, რომლის საფუძველია ისრაელის იმპერიალისტური მისწრაფება როგორც რასისტული სახელმწიფოსი „მხოლოდ ებრაელებისათვის“. არაბთა უმეცრესობა ამ ქვეყანაში დაყვანილია „მეორე ხარისხის ადამიანების“ დონემდე. მათ ძალით ართმევენ მიწებს და თვით არაბების მიმართ კი აშკარა დისკრიმინაციას მიმართავენ. რასობრივი დისკრიმინაციის სიონისტური აპარატი კიდევ უფრო მკაცრი ფორმებით მოქმედებს დაპყრობილ არაბულ მიწებზე, სადაც კანონისა და ადამიანის უფლებათა დაცვა საერთოდ „არასავალდებულოდ“ მიაჩნიათ.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებთა მიმართ იყენებენ ისეთ მეთოდებს, როგორიც არის ამათი საცხოვრებელი ბინების დანგრევა, ვინც ეჭვმიტანილია პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობასთან თანამშრომლობაში, სამოქალაქო დაუმორჩილებლობის კამპანიის მონაწილეთა გაძევება ოკუპირებული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ და მათი საკუთრების კონფისკაცია. ადამიანის უფლებათა აღმაშფოთებელი დარღვევაა დაპყრობილ რაიონებში „სამხედრო მიზნით“ ებ ისრაელ კოლონისტთა გასაყიდად.

ამ ფაქტებიდან ნათელია, ისრაელი ოკუპანტები ებრძვიან ადამიანის ეროვნულ-დემოკრატიულ, ეროვნულ-გამანთავისუფლებელ ბრძოლას. ეს ბრძოლა ეფუძნება ადამიანის ბუნებრივ, ისტორიულ, ეროვნულ, ეკონომიკურ, სოციალურ, ეთნიკურ, ენობრივ, ტერიტორიულ, ეკლესიურ, ფსიქოლოგიურ, ინტელექტუალურ, ეროვნულ-კულტურულ, ეროვნულ-ეკონომიკურ, ეროვნულ-ეკლესიურ, ეროვნულ-ენობრივ, ეროვნულ-ტერიტორიულ, ეროვნულ-ფსიქოლოგიურ, ეროვნულ-ინტელექტუალურ

იცნობდეთ, ჩვენი თანამემამულეა!..

ვაზი, კიტრი, პამიდორი — ტუნდრაში

ქართველი აგრონომის გულმოდგინეობა

მაგადანიდან ჩრდილო-დასავლეთით ათას კილომეტრზე დაშორებულ დაბა მიაუნჯას მეურნეობა „ენერგეტიკაში“ მუშაობს ჩვენი თანამემამულე აგრონომი კარლო ღუტიძე. კარლო 40 წელია მუდმივი გამყინვარების მხარეში ცხოვრობს და შრომობს; მან ხანგრძლივი მუშაობით მიაღწია სათბურებში კიტრის, პამიდორისა და სხვადასხვა ბოსტნეულის უხვი მოსავლის მიღებას. აგრონომმა მიაუნჯას სათბურებში, რომელიც მუშაობს „ენერგეტიკის“ მეურნეობის ბაზაზე და თბოელექტროსადგურის ცხელი წყლებით, სათბურში ისეთი პირობები შექმნა, რომ საქართველოდან ჩატანილი სხვადასხვა ყვავილი, პალმა, გოგრა, სიმინდი ადვილად გაიხარა.

კ. ღუტიძემ ჯერ კიდევ 1964 წლის აპრილში მიაუნჯას სათბურეებში კიტრისა და პამიდორის პირველი მოსავალი მიიღო. მან ყოველ კვადრატულ მეტრზე 39 კილოგრამი კიტრი მოკრიფა.

ეს ამბავი პირველ ხანებში დაუჯერებლად მოეჩვენათ. საოლქო და რაიონული პრესაც კი ჩაერია საქმეში და გაზეთმა „მაგადანსკაია პრავდამ“ თავისი სპეციალური კორესპონდენტი მიავლინა მიაუნჯაში. გაზეთმა მალე მკითხველებს აღუწყა ქართველი აგრონომის მიღწევები. ამის შემდეგ აგრონომმა მთელ მაგადანის ოლქში გაითქვა სახელი. მისი მიღწევების შესახებ სხვა გაზეთებიც ალაპარაკდნენ.

1970 წლის 11 იანვრის გაზეთ „მაგადანსკაია პრავდაში“ ვკითხულობთ: მხოლოდ ერთ მეურნეობა „ენერგეტიკაში“ 135 ტონა კიტრი და რამდენიმე ათეული ტონა პამიდორი მოკრიფეს.

პარტიის მაგადანის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ს. შაიდუროვი წერს: შეიძლება ბევრმა არც კი იცოდეს, რომ მაგადანელებს ადრე გახაფხულზე უკვე აქვთ ქორფა კიტრი და ახალი პამიდორი. მართალია, ჯერჯერობით მათი რაოდენობა სამხრეთის რაიონებთან შედარებით მცირეა, ფასიც დიდია, მაგრამ ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით დახურული გრუნტის პირობებში კიტრისა და პამიდორის მოყვანით მაგადანის ოლქი პირველ ადგილზეა საბჭოთა კავშირში.

მთელ მაგადანის ოლქში და მის ფარგლებს გარეთ ფართოდ ცნობილი მიაუნჯას სათბურები დღეს მთლიანად აკმაყოფილებს დაბა მიაუნჯას და საერთოდ სუსუმანის რაიონის მოსახლეობის მოთხოვნილებას კიტრზე, პამიდორზე და სხვადასხვა ბოსტნეულზე. ამას დიდად უმადლიან ქართველ აგრონომს, უყვართ იგი და აფასებენ. კომუნისტი კ. ღუტიძე 1968 წელს სუსუმანის

ფოტოებზე: კარლო ღუტიძე ტუნდრაში მანის ქვეშ გაშენებულ ვენახში; ქვემოთ — სათბურის ერთი კუთხე.

აპტორის ფოტო.



მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. ამავე დროს „ეხერგეტიკის“ კომუხისტებმა მას პარტიიუროს მდივნობა მიანდეს.

კ. ღუტიძეს თავისი საქმე იმდენად უყვარს, რომ ვერ ელოდა იქაურობას და ამის გამო ყოველწლიურად გადადებდა ხოლმე შობლიურ საქართველოში დაბრუნებას. მას ერთი ფიქრი აწუხებდა: კიტრისა და პამიდორის გვერდით ჩრდილოეთში ვაზიც ვაეხარებინა. და ამ საქმის განხორციელებას მან თავისი ცხოვრების საუკეთესო წლები მოახმარა. აკი თვითონ ამბობს, 20 წელი ვფიქრობდი და ცდებს ვატარებდი სათბურებში ვაზის სხვადასხვა ჯიშების გახარებაზეო. საბოლოოდ ქართველი კაცის ოცნებამ ფრთები შეისხა. კ. ღუტიძემ მიაუნჯას სათბურებში ვაზი გაახარა და ყურძნის საკმაო მოსავალიც მიიღო.

1968 წლის აგვისტოში ჩვენი ქვეყნის უკიდურეს ჩრდილოეთს პირველად მოეკლინა სენსაციური ცნობა ყიხულოვან მეწაზე ყურძნის მოყვანის შესახებ. 1968 წლის 6 აგვისტოს გაზეთი „მაგადანსკაია პრავდა“ მკითხველს აუწყებდა: მიაუნჯასა და კადიჭანის მაღაზიებში გასაყიდად გამოიტანეს ყურძენი, რომელიც მოიყვანა ქართველმა აგრონომმა კარლო ღუტიძემ.

გაზეთი „სოვეტსკაია როსია“ წერდა: „მაგადანის ოლქი და ყურძენი? მართლაც, რომ სენსაციური ამბავია. მაგრამ ფაქტია, რომ მზიერი ქვეყნის შვილის მიერ ვაზი გახარებულია მიაუნჯას სათბურებში, სადაც „ჯადოქრობს უფროსი აგრონომის კ. ღუტიძის გრძნეული ხელი. იქ მოყვანილ ყურძენს ვემო და არომატი უკვე გაუსინჯეს მაგადანელმა მშრომელებმა.“

ეს ამბავი სწრაფად გავრცელდა მთელ საბჭოთა კავშირში და დიდი გამოხმაურება გამოიწვია. იმ ხანებში გაზეთი „ტრუდი“ წერდა: „ოთხი წლის განავლობაში საბჭოთა მეურნეობა „ენერგეტიკის“ მთავარი აგრონომი კ. ღუტიძე გულმოდგინედ დასტრიალებდა თავს მზიური ვაზის ნერგებს. სათბურში ვაზის გახარება მისი დიდი ხნის ოცნება იყო. და აი ვაზმა ბარაქიანი მოსავლით უპასუხა მუყაითმრომას. კოლიმის მიწაზე მოყვანილმა ვაზმა გაიხარა და საკუთარ მტევნები დაისხა.“

კოლიმური ყურძენი — ეკითხულობთ გაზეთ „მაგადასკაია პრავდაში“ — ეს მართლაც სასწაულია, მეტადრე, მოყვანილი იმ მიწაზე, რომელზეც წარსულში ამბობდნენ, ქათამსაც ვერ გამოკვებავსო. იქ არა თუ ყურძენი, კარტოფილი და იოლად მოსაყვანი შვიდკვირიანი ბოლოკიც კი ვერ ხარობდა.

1973 წლის 24 აპრილს გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნებული წერილით — „მაგადახური კლიმატი“ — ს. შაიდუროვი მკითხველებს აცნობებდა, „ენერგეტიკის“ მეურნეობის სათბურებში ერთ კვადრატულ მეტრზე 30 კილოგრამი ყურძენი მოკრიფესო. შემდეგ ავტორი იქვე დასძენდა: „კოლიმური ყურძნის ღირებული არის, რომ უფრო იაფი ჯდება, ვიდრე ჩვენი ქვეყნის სამხრეთის რაიონებიდან შემოტანილი. გარდა ამისა სხვებზე რამდენიმე თვით ადრე მწიფდება, და ძაღრიანობაც მეტი აქვს.“

კ. ღუტიძის სათბურებში წარმატებით მიმდინარეობს ექსპერიმენტები ვაზის 20 ჯიშზე. მიაუნჯელი სპეციალისტების მუშაობას ყურადღებით აღევსებს თვალყურს ტიმირიაზევის სახელობის აკადემია. ფესვძალებელია, იქ „ეხერგეტიკის“ სათბურებში იბადება ახალი დარგი კოლიმური ასათბურო მეცენატურეობისა, რომელსაც უეჭველია ნინ დიდი მომავალი აქვს.

ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებსა და დაბებში ცხოვრები მშრომელი ადამიანები და მეცნიერი მუშაკები პირადი წერილებით გულთადად ულოცავენ კ. ღუტიძეს სახელოვან გაძარჯვებებს.

„თქვენი მოღვაწეობის შესახებ, — წერს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რუდოლფი, — სიამოვნებით წავიკითხე 1973 წლის 22 ივლისის გაზეთ „პრავდაში“ და გაზეთ „ვეჩერნაია მოსკვაში“, — მოხარული ვარ, რომ თქვენი კარგი საქმიანობა და მიღწევები შეუმჩნეველი არ დარჩენიათ და დიდი შეფასება ხვდა წილად საკავშირო პრესაში“.

საინტერესოა, მუდმივ ყინულოვან მხარეში აგრონომმა კ. ღუტიძემ როგორ გაახარა ვაზი? იგი ამბობს: „მიწა ჩრდილოეთში პრობლემაა, მაგრამ გამოსავალი არსებობს, მისი ათვისება და დამუშავება მეცნიერული მიდგომით საესებით შესაძლებელია. ჩვენ მიწას საგულდაგულოდ ვამუშავებთ, შემოგვაქვს მდინარეთა კალაპოტებიდან და ნაჯაობარი ადგილებიდან შლამი და ნალექი, ვყრით სათბურებში, ვანყოიერებთ სასუქებით და საუკეთესო პირობებს ვქმნით ვაზის გასახარებლად.“

ამჟამად მიაუნჯაში დიდი სასათბურო კომპლექსური კომბინატი შენდება, რომელიც ჩრდილოეთში ხილ-ბოსტნეულის მოყვანის მთავარი ბაზა იქნება. სათბურებში დიდი ადგილი დაეთმობა ვაზის, ქლიავის, ბლისა და სხვადასხვა ხილეულის გახარებას, რაც კი საქართველოს შეუძლია უწილადოს ჩრდილოეთს. ეს იქნება ხალხთა ძმობისა და მეგობრობის ნამდვილი სამკედლოც, სადაც ქართველი აგრონომის მხარდამხარ იმუშაებენ ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის სხვადასხვა ერის შვილები. ამ მხრივაც დასაფასებელია და ახალგაზრდებისათვის მისაბაძია სახელმოხვეჭილი ქართველი აგრონომის კარლო გრიგოლის-ძე ღუტიძის საქმიანობა.

ს. რეხვიაშვილი,
დაბა მიაუნჯა.

მიეძღვნა დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს

„პრავდის“ პრიზზე

მძლეოსნური კროსი თბილისის იპოდრომზე

პარბ ტრადიციად იქცა უკანასკნელ წლებში სპორტული სეზონის გასსნა საგაზაფხულო მძლეოსნური კროსით გაზეთ „პრავდის“ პრიზზე.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს მიძღვნა თბილისელ მძლეოსანთა საქალაქო კროსი, რომელიც მეთექვსმეტედ გაიმართა. შვიდიგე რაიონის ნაკრებთა 300-ზე მეტი კროსმენი გამოვიდა შეჯიბრების სხვადასხვა დისტანციაზე.

პირველად სტარტი მიეცა გოგონათა გარბენს 1 კილომეტრზე. საუკეთესო დრო აქ ბ. ეროკინს (საქარხნო რაიონი) ჰქონდა — 3 წუთი და 35,2 წამი. ორკილომეტრიან დისტანციაზე იუნიორთა შორის თავი ისახელა მისმა თანაგუნდელმა ლ. ზიმინამ — 7 წუთი. მომდევნო ადგილებზე არიან ლ. სამხარაძე (ლენინის რაიონი) და ე. ბაღაური (საქარხნო რაიონი). ქალთა შორის ჩემპიონი გახდა თ. მიასოედოვა (ორჯონიკიძის რაიონი) — 7 წუთი და 53 წამი.

მომდევნო დისტანცია 3 კილომეტრს უდრიდა. გაიმარჯვა ნ. ტუაევამ (საქარხნო რ) — 12 წუთი და 51 წამი. იუნიორებში პირველი ი. კოსიხი — 9 წუთი და 26,2 წამი, ჭაბუკებში — ტ. ბოროდაჩოვი (ორჯონიკიძის რ) — 10 წუთი და 4 წამი.

იწყება შეჯიბრება დიდ დისტანციებზე. 5 კილომეტრი ყველაზე სწრაფად დაფარა ვ. ეფიმოვმა (პირველი მაისის რ) — 17 წუთი და 19,2 წამი, 8 კილომეტრი — ე. გბტიკოვემა (25 წუთი და 3,6 წამი), ხოლო 14 კილომეტრი — გ. ჩიჩიშვილმა (46 წუთი და 00,2 წამი). ეს ორი უკანასკნელი სპორტსმენი ორჯონიკიძის რაიონის წარმომადგენელია.

გუნდური პირველობა მოიპოვეს ორჯონიკიძის რაიონის კროსმენებმა.

3 აპრილს თბილისის იპოდრომზე გაიმართება რესპუბლიკური კროსი გაზეთ „პრავდის“ პრიზზე.

ბ. კენჭაძე.

* * *

სურათებზე: სტარტი აიღეს ჭაბუკებმა (ზემოთ); კროსის დისტანციაზე გოგონები არიან.

ბ. ბმნბიურის ფოტო.

ჭადრაკის დაფებთან

პრეტენდენტთა მატჩებზე

ლიუცერნში პოლუგაევსკისა და მეკინგის მატჩის მეხუთე პარტია ყაიმით დამთავრდა. ანგარიში „გახდა“ 3:2 პოლუგაევსკის სასარგებლოდ.

რეიკიავიკში სპასკისა და ჰორტის მეშვიდე პარტიაც ყაიმით დასრულდა. ანგარიშია 4:3 სპასკის სასარგებლოდ.

როტერდამში ლარსენმა და პორტიმმა დაამთავრეს ორი გადადებული პარტია. მეხუთეში ყაიმი აღინიშნა, ძეექვსეში კი გაიმარჯვა პორტიმმა, ანგარიში გახდა 4:2 უნგრელი დიდოსტატის სასარგებლოდ.

8 მარტისადმი მიძღვნილი

გელგრადში დაიწყო ქალთა დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი 14 ცნობილი მოჭადრაკის მონაწილეობით.

ტურნირში თამაშობენ დიდოსტატი ლეიტინა (საბჭოთა კავშირი), საერთაშორისო ოსტატები ივანკა, ვერეცი (ორიეე — უნგრეთი), პარტსტონი (ინგლისი) და წამყვან იუგოსლავიელ მოჭადრაკეთა ჯგუფი.

კარპოვი კვლავ ლიდერობს

6 ბერნი ნათამაშევი ბად-ლაუტერბერგის (გფრ) დიდ საერთაშორისო ტურნირში.

5,5 ქულით პირველ ადგილზეა მსოფლიოს ჩემპიონი კარპოვი. 4 ქულით მეორე ადგილზეა მსოფლიოს ჩემპიონის მწვრთნელი, დიდოსტატი ფურმანი.

მეექვსედ!



სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, თბილისელი ვიქტორ სანეევი მეექვსედ ავიდა ევროპის ზამთრის ჩემპიონატების სპატიო კვარცხლბეკის ყველაზე მაღალ საფეხურზე. შესანიშნავმა მძლეოსანმა ამჯერად გაიმარჯვა ბასკეთის ქალაქ სან-სებასტიანში. მისი შედეგი სამმაგ ხტომაში უდრის 16 მეტრსა და 65 სანტიმეტრს.

დიდ წარმატებას მიაღწია სანსებასტიანში აგრეთვე ვალერი ბორზოვმა, რომელიც უკვე მეშვიდედ იყო უძლიერესი 60-მეტრიან დისტანციაზე — 6,59. ქალთა შორის 60 მეტრზე თარჯებით გაიმარჯვა ალმაათელმა ლიუბოვ ნიკიტენკო-კონონოვამ — 8,29.

ახალი საკავშირო რეკორდი დამყარა რბენაში 60 მეტრზე ქალთა შორის 21 წლის მოსკოველმა ლიუდმილა სტოროჟკოვამ (7,24). იგი ჩამორჩა მხოლოდ მსოფლიოს რეკორდსმენს მარლიზ ელსნერს (გდრ) — 7,17. ასევე მეორე ადგილზე გამოვიდა თარჯრბენში 60 მეტრზე მინსკელი ვიქტორ მიასნიკოვი — 7, 78.

როდის, ვისთან

თბილისის „დინამოს“ მატჩების კალენდარი ფეხბურთში სსრ კავშირის 1977 წლის მე-40 ჩემპიონატის პირველ წრეში

2 აპრილი (შაბათი)
„დინამო“ თბ. — „კრ. სოვეტოვი“

6 აპრილი (ოთხშაბათი)
„დინამო“ თბ. — „ზენიტი“

16 აპრილი (შაბათი)
ცსკა — „დინამო“ თბ.

3 მაისი (სამშაბათი)
„კაირატი“ — „დინამო“ თბ.

22 მაისი (კვირა)
„დინამო“ თბ. — „ნეფტჩი“

26 მაისი (ხუთშაბათი)
„ზარია“ — „დინამო“ თბ.

31 მაისი (სამშაბათი)
„დინამო“ თბ. — „შაბტიორი“

5 ივნისი (კვირა)
„არარატი“ — „დინამო“ თბ.

9 ივნისი (ხუთშაბათი)
„დინამო“ თბ. — „ჩერნომორეცი“

14 ივნისი (სამშაბათი)
„დინამო“ მ. — „დინამო“ თბ.

22 ივნისი (ოთხშაბათი)
„კარპატი“ — „დინამო“ თბ.

1 ივლისი (პარასკევი)
„დინამო“ თბ. — „დნეპრი“

5 ივლისი (სამშაბათი)
„დინამო“ თბ. — „ტორპედო“

14 ივლისი (ხუთშაბათი)
„ლოკომოტივი“ — „დინამო“ თბ.

18 ივლისი (ორშაბათი)
„დინამო“ კ. — „დინამო“ თბ.

ორიოდე სიტყვით

ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების განმეორებითი მეოთხედფინალური მატჩის წინ მიუხედნის „ბავარიასთან“, კიევის „დინამომ“ ჩეხოსლოვაკიაში უკანასკნელი, მესამე ამხანაგური შეხვედრა გამართა ბრატისლავის „ინტერთან“ (იგი ქვეყნის მომდინარე ჩემპიონატში მესამე ადგილზეა). ანგარიშით 2:0 (0:0) გაიმარჯვეს ჩეხოსლოვაკიელმა ფეხბურთელებმა.

ლენინგრადის „ზენიტმა“ გაიმარჯვა ჩრდილოამერიკული ტურნეს მეორე მატჩშიც. ანგარიშით 1:0 მან დაამარცხა „დალას ტორნადოს“ კლუბი. ბურთი გაიტანა მარკინმა.

კალამბური. ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგ მატჩებში კიევის „სტროიტელმა“ წააგო მოსკოვის „დინამოსთან“ — 78:93 (47:42), ნიკოლაევის „სპარტაკმა“ — რიგის სკა-სთან — 81:95 (33:47), ხოლო ლენინგრადის „სპარტაკმა“ სძლია ტალინის „კალევს“ — 114:96 (63:46).

ბოქსი. მოსკოვის „დინამომ“ ვოსკრესენსკში ფრედ — 4:4 დაამთავრა შეხვედრა „ხიმიკთან“ და მიმდინარე ჩემპიონატის ვერცხლის მედლები მოიპოვა.

წყალში ხტომა. მინსკში დამთავრდა საერთაშორისო შეჯიბრება „გაზაფხულის მერცხლები“. ისევე როგორც 3-მეტრიან ტრამპლინზე 10-მეტრიანი კოშკურიდან ხტომებშიც გაიმარჯვა მსოფლიოს ჩემპიონმა, პენზელმა სტუდენტმა ირინე კალინინამ. ვაჟებში კოშკურაზე უძლიერესი იყო მინსკელი ნიკოლოზ მიხაილინი.

ელენე ვირსალაძე

ქართველი ენციკლოპედიკოსი

ქართულმა მეცნიერებამ [illegible] დაბაკლისი განიცადა — გარდაიცვალა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიკის კათედრის გამგე, მოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ელენე ბაგრატის ასული ვირხალაძე.

ე. ვირსალაძე დაიბადა 1911 წ. თბილისში. 1927 წ. დაამთავრა თბილისის მერვე შრომის სკოლა და ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. 1932-1935 წლებში სწავლობდა ლენინგრადში ლიტერატურის, ენისა და ფილოსოფიის ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1936 წ. ლენინგრადშივე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და ქართველ ქალთაგან ერთ-ერთმა პირველმა მოიპოვა სამეცნიერო ხარისხი.

1943 წელს ე. ვირსალაძემ პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ძირითად სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას კი აკადემიკოსი შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში აწარმოებდა. ე. ვირსალაძემ 1963 წ. წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 1976 წ. აირჩიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორისტიკის კათედრის გამგედ.

ქართული ფოლკლორის კვლევა ე. ვირსალაძემ ახალ სიმაღლეზე აიყვანა. ფართო დიაპაზონისა და დიდი ერუდიციის მეცნიერმა გაამდიდრა საბჭოთა ფოლკლორისტიკა მნიშვნელოვანი მონოგრაფიებითა და წიგნებით. ე. ვირსალაძის მეცნიერული მოღვაწეობა მეტად მრავალმხრივია. იგი საშური გულმოდგინებით აკვლევდა ჟანრობრივად მრავალფეროვანი ზეპირსიტყვიერების სხვადასხვა საკითხს. კვლევარს ერთნაირად აინტერესებდა მითოლოგიის პრობლემები, ეპიკური ტრადიციების თავისებურებანი, ხალხური ლირიკის სახეები, თანამედროვე თემატიკის ფოლკლორში ასახვის ფორმები, ხალხური ლეგენდები და გადმოცემები, ფოლკლორულ-ლიტერატურული ურთიერთობანი, ტექსტოლოგიური ხასიათის ძიებანი და კიდევ პეკრი სხვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის შრომა, რომელიც მეცნიერმა ბიბლიოგრაფიული ხასიათის სამუშაოთა განხორციელებას შეალია.

ე. ვირსალაძემ ერთ-ერთმა პირველმა მიაქცია ყურადღება ქართული ზღაპრების გენეზისს და მათი შემეცნებითი თუ ესთეტიკური ღირებულებების ჩვენებთან, მსოფლიო ფოლკლორში ეროვნული ზღაპრების ადგილისა და სპეციფიკის გარკვევით მეტად საინტერესო დასკვნები გააკეთა. ე. ვირსალაძის გამოკვლევათა შორის განსაკუთრებული ღირებულების მქონეა „ქართული სამონადირეო ეპოსი“, რომელიც საზოგადოებრივი წყობის ერთ-ერთ უძველეს ფორმასთან დაკავშირებულ ფოლკლორს შეისწავლის და ზეპირსიტყვიერების ისტორიის უადრესი პერიოდის შესახებ საეტაპო მნიშვნელობის მონოგრაფიას წარმოადგენს. 1976 წ. მოსკოვში დაიბეჭდა ამ წიგნის გადამუშავებული ვარიანტი, რომელმაც უკვე ფართო გამოხმაურება ჰპოვა საეცალისტებსა და ფოლკლორით დაინტერესებულ წრეებში.

ე. ვირსალაძე 100-მდე შრომის ავტორია. ისინი გამოქვეყნებულია არა მარტო ქართულ და რუსულ, არამედ უცხო ენებზეც. მას იცნობენ ჩვენი ქვეყნის სახლვრებს გარეთაც. საკავშირო თუ საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და კონგრესებზე წაკითხული მისი მოხსენებები ყურადღებას იმსახურებდნენ საკითხთა პრობლემურობით და მოვლენათა მასშტაბური განხილვით, ღრმა მეცნიერული დასკვნებით. 1974 წ. ე. ვირსალაძე ხარატიული ფოლკლორის საერთაშორისო საზოგადოების წევრი გახდა.

გამოჩენილმა ფოლკლორისტმა დიდი ამაგი დასდო ეროვნული საუნჯის შეკრებას. მისი ხელმძღვანელობით არა ერთი და ორი ფოლკლორული ექსპედიცია მოეწყო მთიულეთ-გუდამაყარში, რაჭაში, ქართლსა და კახეთში, გურიასა თუ იმერეთში... იგი არა მარტო დაკვირვებით იწერდა მასალებს, არამედ გულმოდგინედ სწავლობდა და აქვეყნებდა მათ. არ მოიპოვება სოლიდური ფოლკლორული ხასიათის წიგნები, რომელთა გამოცემებშიც ე. ვირსალაძეს მონაწილობა არ მიეღო როგორც ხელმძღვანელს, რედაქტორს ან შემდგენელს. იგი წლების მანძილზე არჩეული იყო თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად. 1973 წლიდან თბილისის კალინინის რაიონის ქალთა კომიტეტის თავმჯდომარე იყო.

დიდი მეცნიერის, გულისხმიერი პედაგოგისა და სანიმუშო მოქალაქის სახე დაუვიწყარი იქნება.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო; შრომის წითელი დროშის ორდენოსანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი; საქართველოს სსრ ისტორიული საზოგადოება; კალინინის რაიონის ქალთა კომიტეტი.

ტელევიზია

15 მარტი

პირველი პროგრამით

10.30 — მოსწავლეთათვის — გეომეტრია, 11.00 — ძმატვრული ფილმი „შურისგება“. II სერია (ქართულ ენაზე), 17.05 — უმაღლეს საუკავლებელში შემსვლელთათვის — ქართული ენა, 17.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ირვანის ნავთობი“, 18.05 — მოსწავლეთათვის — ინგლისური ენა, 18.35 — განცხადებები, 18.40 — დიდი ოქტომბრის 60 წლისთავისათვის — „სოფელი, სადაც აჯახყვნის დროშა აფრიალდა“, 19.00—ამხანაგური მატჩი ფეხბურთში: „დინამო“ (თბილისი)-სსო კავშირის ხაკრები, რეპორტაჟი თბილისის ვ. ი. ლენინის საველობის „დინამოს“ სტადიონიდან, 20.45 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.15 — კონცერტი, 22.00 — „ვრემია“— საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — ქართული ძმატვრული ფილმი „შემოდგომის თაღი მზე“. ფერადი გამოსახულებით.

მეორე პროგრამით

17.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „რიზამატ-ატას ასი გაზაფხული“, 17.45 — რუსული სკოლების მეცხრეკლასელთათვის — ფიზიკა, 18.30 — ნახატი ფილმი „დიდი ღელი მზიურ ბაღში“, 18.40 — სტუდენტთათვის — თეორიული მექანიკა, 19.25 სატელევიზიო ძმატვრული ფილმი „აძხანაგი ბრიგადა“. I სერია. ფერადი გამოსახულებით, 20.30 — დოკუმენტური ფილმი „ძმატვარი არლენ კაპკურევიჩი“.

რადიო

16 მარტი

პირველი პროგრამით

09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ახსაძლ „დიელოს“ კონცერტი, 10.00 — ცეტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცეცა ძოკოვდან), 11.45 — „აარტიული ცხოვრება“—„პარტიული ოგანიზაცია და მშრომელთა სავაჭრო მომსახურება“, 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 13.40 — ი. ბობოხიძე. სიმღეროები, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა“ — ნ. ლორთქიფანიძის მოთხრობები, 14.20 — ლ. ბეთჰოვენი. მეხუთე საფორტეპიანო კონცერტი, 17.15 — რ. გლიერი. ბალეტი „წითელი ყვავილი“ საწყვეტელი, 17.40 — ყველაზე პატარეებისათვის „ლაპაოკოთს რადიოსადგური „ციცინათელა“, 19.00 — „ყურადღი ბაკროფოთან“, 19.15—ქართული ხალხური მუსიკა, 20.30—რადიოჟურნალი „თბილისი-ბაქო-ერევანი“, გადაცემა თბილისიდან ალიერკავკასიის მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების რადიოსამეხელთათვის, 21.00 — „ძილისპირული“, 21.15 — ახალგაზრდობისათვის. ციკლიდან „ივენი ცხოვრების წესი“ — ოდიოაარკვევი „ეთოუზიასტები“ 21.30 — ე. სოხაძის კონცერტი (დაბადების 70-ე წლისთავის გამო), 22.00 — სპეტაკლების სცენები — რესპუბლიკის სახალხო არტისტის ა. თოიძის მონაწილეობით (70-ე წლისთავის გამო), 22.30 — ანსამბლ „გაიას“ კონცერტი.

ოლიმპიადა

15 მარტი

კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ეზოში ამი ძალლია (პრემიერა).

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი

(აკ. წერეთლის პრ., 2)

15 მარტი

ფეხბურთი

ამხანაგური შეხვედრა **„დინამო“ თბილისი — სსრ კავშირის ნაკრები**

დასაწყისი 19 საათზე;

ბილეთები იყიდება „დინამოს“ სტადიონის სალაროებში დილის 10-დან 16 საათამდე, ორგანიზაციებში 9-დან 13 საათამდე.

„კომუნისტის“ ფოსტიდან

მკითხველის სტრიქონები

ტყიბული. საინტერესო პროგრამა მოამზადა გურნის სასოფლო კლუბის აგიტმხატვრულმა ბრიგადამ, რომელმაც კონცერტები გამართა გურნაში, ძმუთსში და სხვა სოფლებში. ბრიგადა ეწვია აგრეთვე საწირისა და გურნის მეცხოველეობის ფერმებს.

ნ. ჯინჯიხაძე.

თელავი. სოფელ კონდოლს ამ დღეებში ეწვია სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის რაიონული კომიტეტის საგიტაციო მანქანა. კოლმეურნეებს უჩვენეს კინოსურათი „მინდვრის მავნებლები და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი“. საგიტაციო მანქანა, რომელიც აღჭურვილია კინოდანადგარით, რადიომიმღებით, რადიოგადამცემით და სხვა საშუალებებით, რაიონში მეტად ნაყოფიერ საქმიანობას ეწევა — აგიტკოლექტივის წევრები კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მართავენ კონცერტებს, საუბრებსა და ლექციებს.

გ. მურადოვი.

თბილისი. კამეოლური დართვის ფაბრიკის საგრეხი საამქროს კომკავშირელმა ახალგაზრდებმა კარგ მუშაობასთან ერთად კარგი გართობაც იციან. ამ დღეებში მათ ორდღიანი ექსკურსია მოაწყეს ბაკურიანის მთებში. დაათვალიერეს ზამთრის სპორტული ბაკურიანი და კუროორტის სხვა ღირსშესანიშნავი ადგილები, გამართეს შეჯიბრება სათხილამურო სპორტში.

დ. ღამბაშიძე.

ზუგდიდი. სოფელ ჯიხაშკარში ახლახან ხარაჩოები ჩამოეხსნა კომკავშირის სახელობის კოლმეურნეობის კლუბ-კინტორას. კლუბი 200 მაყურებელს იტევს.

გ. ნორაკიძე.

ჟურნალების ახალი ნომრები

„სკოლა და ცხოვრება“ № 2

გამოვიდა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ყოველთვიური სამეცნიერო-პედაგოგიური ჟურნალის „სკოლა და ცხოვრება“ მორიგი, მეორე ნომერი.

ჟურნალში გამოქვეყნებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის 31 იანვრის დადგენილება — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ.

რუბრიკით „საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში“ დაბეჭდილია: დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ; რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთათვის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოკლე ბიოგრაფიული ნარკვევის გაცნობის შესახებ.

განყოფილებაში „საქართველოს სსრ მასწავლებელთა IV ყრილობისათვის“ გამოქვეყნებულია სტატიები და წერილები, რომლებიც ძირითადად ეძღვნება ამ მნიშვნელოვან მოვლენას.

ჟურნალს აქვს აგრეთვე განყოფილებები: „პატრიოტულ სწავლებაში დასასხმარებლად“; „საბჭოთა არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღისათვის“; „ფლეში და ადამიანები“; „პრიზმა და ბიბლიოგრაფია“.

„საქართველოს ბუნება“ № 2

გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის და საქართველოს მოსადარეთა და მეთევზეთა კავშირის ყოველთვიურ სამეცნიერო საწარმოო პოპულარულ ჟურნალ „საქართველოს ბუნების“ მორიგი, მეორე ნომერი.

სიხარულის მაცნე

ქოგულეთი. ყოველ დილას ასლან ბაუეაძე, ტყავის ჩანთით დატვირთული, კვირიკელ მშრომელთა ოჯახის კარებს აღებს და მეზობლებისათვის ახალ-ახალი ნობათები მიაქვს. ზოგს ჯარში წასული პირაშოს წერილით ახარებს, ზოგს სასიხარულო დეპეშით, ჟურნალ-გაზეთებით.

ორმოცდაათ წელს გადაცილებულ დაუზარელ ფოსტალიონს მთელი სოფელი ეამადლიერება. მან თანასოფლელთა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა და სასოფლო საბჭოს დეპუტატობაც მიანდეს.

მ. ბუონია.

უმინდი

გუშინ 13 საათზე დასავლეთ საქართველოში მშრალი ამინდი იდგა დაბლობ რაიონებში 10-13, მთებში 4-9 გრადუსი სითბო იყო.

აღმოსავლე